საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 259 (538) სამშაბათი, 22 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობენ, რომ 18 დეკემბერს ოჩამჩირის რაიონში სიმშვიდე იყო. შუადღისათვის მოხდა მოწინააღმდეგე მხარეთა ტყვეების გაცვლა.

18 საათისათვის ახალ ათონთან ქვემო ეშერის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე შემჩნეულ იქნა საბრძოლო ტექნიკა და მძიმე ავტომობილების ინტენსიური მოძრაობა.

21 საათისათვის დრანდასთან, ზღვის თავზე გამოჩნდა 2 ვერტმფრენი, რომლებიც მცირე ხნის შემდეგ გუდაუთისკენ გაფრინდნენ.

23 საათისათვის მოწინააღმდეგემ მდინარე გუმისთაზე საბრძოლო პოზიციაზე გამოიყვანა 2 ტანკი და გახსნა ცეცხლი ჩვენი მიმართულებით. ტანკების გარდა ისროდნენ ყუმბარმტყორცნებიც. საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობა დაუკავშირდა გუდაუთაში არსებულ აფხაზთა სამხედრო შტაბს, რის შემდეგაც ცეცხლი შეწყდა.

24 საათისათვის სოხუმის თავზე გამოჩნდა დელტაპლანი, რომელიც სოფელ შრომის მიმართულებით გაფრინდა.

* * *

20 დეკემბრის ღამემ აფხაზეთში შედარებით მშვიდად ჩაიარა. ფრონტის ცალკეულ ხაზებზე ადგილი ჰქონდა მხოლოდ კანტი-კუნტ სროლას, მათ შორის მდინარე გუმისთაზე, ქვემო ეშერის სკოლასთან, სადაც 5 საათსა და 30 წუთზე საბრძოლო პოზიციაზე დადგა მოწინააღმდეგის ქვეითი საბრძოლო მანქანა და დაიწყო სროლა ჩვენი მიმართულებით. მსხვერპლი და დაზიანება არ ყოფილა.

სოხუმში დაკავებულ იქნა მოსკოვის მკვიდრი, ელექტრომექანიკური ტექნიკუმის მეოთხე კურსის სტუდენტი ალექსანდრე ოსოკინი, რომელიც, მისივე განცხადებით, აფხაზეთში ჩამოვიდა მოხალისედ აფხაზების მხარეზე საბრძოლველად.

20 დეკემბრის 20 საათისთვის მოწინააღმდეგემ ქვემო ეშერაში დაიწყო ტექნიკის კონცენტრაცია. შემდეგ წინა ხაზზე გამოიყვანა ორი ტანკი და გახსნა ტყვიამფრქვევების ცეცხლი. ამავე დროს, პერიოდულად პროჟექტორებით ანათებდა ჩვენს პოზიციებს. ჩვენს მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.

22 საათისათვის სოხუმის თავზე შემჩნეულ იქნა ორი დელტაპლანი, ისინი მალე მიეფარნენ თვალს.

20-21 დეკემბრის ღამემ კი, როგორც სოხუმში, ასევე ოჩამჩირის რაიონში მშვიდად ჩაიარა.

იოსებ გოგეჩია.

ხორცი საქართველოს მცხოვრებლებისათვის

როგორც ქალაქ ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი ვალერი გეგიძე იტყობინება, სადაცაა დამთავრდება ხომალდის დაცლა, რომელმაც საქართველოში 4,5 ათასი ტონა ხორცი ჩამოიტანა. მცირე ტონაჟის ორმა გემმა უკვე აიღო კურსი სოხუმისა და ოჩამჩირისაკენ. პირველი 700 ტონა ხორცი რეფრიჟერატორებით გამოიგზავნა თბილისში. სულ კი დედაქალაქის მცხოვრებლები საახალწლოდ მიიღებენ ორ ათას ტონაზე მეტ იმპორტულ ძროხის ხორცს.

რ. ახმეტელი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

წესრიგის დასამყარებლად უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები

ედუარდ შევარდნაძის 21 დეკემბრის რადიოინტერვიუ

— არ მინდა კვლავ გავიმეორო ის პრობლემები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის განცხადების მიზეზი გახდა — ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ უნდა გადაგვედგა და გადავდგით კიდეც. მაგრამ, მაინც, გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ამ განცხადების მიღება დაგვჭირდა ისეთ ფონზე, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მოწესრიგების, დალაგების გზას ადგა, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში კომენტატორ ნატო ონიანთან, როცა განვლილი კვირის მოვლენები გააანალიზა.

— რუსეთში ახლა რთული პროცესები მიმდინარეობს, — განაგრძო მან. — და საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის განცხადებები, რომლებზეც მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, ამ ქვეყანაში, არსებული მძაფრი წინააღმდეგობებისა და შინაგანი ბრძოლების ანარეკლია. არ გავიმეორებ ამ პროცესების თუ წინააღმდეგობების მიზეზებს, მათზე ბევრჯერ მისაუბრია, მაგრამ სხვა საქმეა, რამდენად უნდა იყოს გამართლებული საგარეო საქმეთა მინისტრის ასეთი ფორმის გამოსვლები... მე მგონი, ეს უფრო თამაშს ჰგავდა, ბავშვს თითს რომ დაუქნევენ, ჭკუით თუ არ იქნები, ასე და ასე დაგემართება. ალბათ, სხვა ფორმით შეიძლებოდა ამის გაკეთება, რომ შემდეგ თავის მართლება არ ყოფილიყო საჭირო, ისე კი, მსოფლიომ მთლიანად რომ უნდა იცოდეს, როგორია რუსეთი სინამდვილეში და ვის უნდა დაუჭიროს მხარი. ამაზე ლაპარაკი აუცილებელია.

შეეხო რა საერთაშორისო ორგანიზაციების როლს და თანამედროვე მსოფლიოს პროცესებში მონაწილეობას, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა კვლავ გაიმეორა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ უშიშროების ევროპული სტრუქტურები და თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურებიც აკადემიური სტილით მუშაობენ და ისე მოქმედებენ, თითქოს ოპერატიული რეაგირება არ იყოს საჭირო. ადრე, როცა მსოფლიოში, ორი ბანაკი არსებობდა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — ისინი უპირისპირდებოდნენ და აწონასწორებდნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ახლა მშვიდობის გარანტი საერთაშორისო სტრუქტურები უნდა იყოს და მათი ოპერატიული მოქმედება დროის მოთხოვნაა. ყველაფერი, რაც იუგოსლავიაში მოხდა, ასეთი დაგვიანებული მოქმედების შედეგია, თუმცა, უნდა ვთქვა, საერთაშორისო ორგანიზაციები ამჟამად იუგოსლავიაში საკმაოდ აქტიურად მუშაობენ.

შემდეგ საუბარი შეეხო აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ვერტმფრენის დაღუპვის გამო, იქაური ოფიციალური პირების მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც რუსეთის საინფორმაციო წყაროებით გადაიცა. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თავისთავად სხვა ქვეყნის სამხედრო ვერტმფრენის გამოჩენა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ისიც სამხედრო თვითმფრინავების თანხლებით, ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევაა და ამას დამრღვევი მხარე ვერაფრით ვერ გაამართლებს. მეორე მხარის მიერ მისი ალყვეთა კი ნებისმიერ შემთხვევაში გამართლებული იქნებოდა.

ამიტომ ვინ როგორი არგუმენტიც უნდა მოიშველიოს, ყველა საფუძველს არის მოკლებული, მით უმეტეს, რომ იმ ვერტმფრენში ქართველი ტყვეებიც იყვნენ და მას ქართველთა მხარე არ ჩამოაგდებდა, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ რისთვის გვჭირდება რუსეთი და რისთვის ვჭირდებით ჩვენ მას. თუ რისთვის გვჭირდება ჩვენ რუსეთი — ეს გარკვეულია, და ამის გამეორება არ არის საჭირო. მართალია, რუსეთი უჩვენოდ არ დაიღუპება, მაგრამ საქართველო მასაც რომ სჭირდება, ესეც ცხადია, არასტაბილური ამიერკავკასია არასტაბილური კავკასიაა, კავკასია კი რუსეთიც არის. მე მგონი, გაითვითცნობიერებენ საქართველოს როლს კავკასიის სტაბილიზაციის საქმეში, თუკი ეს ჯერ არ გაუკეთებიათ. ამდენად, საქართველო რუსეთს სჭირდება.

რადიოკომენტატორის კითხვაზე — ხომ არ არის საქართველოში სოციალური აფეთქების საფრთხე, სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ კრიმინოგენული ვითარება საქართველოში კვლავ რთულია, მაგრამ წესრიგის დასამყარებლად თბილისში უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. საჭიროა თბილისელებმა მხარი დაუჭირონ პოლიციას. ასეთი ღონისძიებები დასავლეთ საქართველოშიც დაიწყება. უახლოეს ხანში ჩვენ შეიძლება მივაღწიოთ წესრიგს, მაგრამ სოციალური დაძაბულობა დარჩება. ამიტომ, სოციალური აფეთქება ახლა ადვილია, არის ისეთი ხალხიც, რომელიც გვაშინებს, რომ ქუჩაში გამოვა. მაგრამ ასეთი რამ არ მოხდება, აქამდე საქმეს არ მივუშვებთ, რადგან, თუკი დავინახავთ, რომ ვილაც უკეთ აკეთებს სადღეისო საქმეს, ვიდრე ჩვენ, გზის დათმობის პრობლემა არ იქნება. არა მგონია, რამე მოიგოს, თუკი ვინმე ჩვენს გაგდებას მოინდომებს. ეს ქარის წისქვილებთან ბრძოლას დაემსგავსება და არ უნდა მოხდეს, — თქვა დასასრულ ედუარდ შევარდნაძემ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რთულ ფაზაში შევიდა

საუბარი რადიო „მაიაკის“ კორესპონდენტთან

— **ჩვენი** ურთიერთობა ძნელ ფაზაში შევიდა. ორივე ქვეყნის მეთაურთა ერთობლივი მცდელობის მიუხედავად, რომ, რაც შეიძლება კონსტრუქციული გზებით მოგვეგვარებინა ჩვენი ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები, აფხაზეთის კონფლიქტმა მაინც გაგვიუარესა ეს მდგომარეობა, — განაცხადა 21 დეკემბერს რადიო „მაიაკის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაურმა მონაწილეობა მიიღო ამ რადიოსადგურის დილის რადიოგადაცემაში, რომელიც ტელერადიოკომპანია „ოსტანკინოს“ თბილისის ბიუროს ხელმძღვანელმა ნანა ლონდაძემ მოაწყო, და იმედი გამოთქვა, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება და ისეთი იქნება, როგორ ურთიერთობაზეც ოცნებობენ რუსეთის და საქართველოს ხალხები. მაგრამ მთავარია, რუსეთმა შეწყვიტოს ჩარევა სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში აფხაზეთში. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს პრეზიდენტ ელცინის ბრალია, მაგრამ არსებობენ ძალები, რომლებიც ამას სჩადიან. ამიტომ, მოვითხოვთ, რომ ამ რეგიონში მყოფმა რუსეთის სამხედრო ნაწილებმა დატოვონ თავიანთი დისლოკაციის ადგილები და მერე ყველაფერი წესრიგში იქნება. რაც შეეხება რუსეთის სხვა ჯარებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არიან განლაგებული, მათთან ურთიერთობა ნორმალურია და ასეთივე დარჩება. თუ აფხაზეთიდან მაინც არ გაიყვანენ იმ ნაწილებს, მაშინ ისინი აუცილებლად ამიერკავკასიის ჯარების ჯგუფის სარდლობას უნდა დაექვემდებარონ, რომ ერთ მეთაურთან ჰქონდეს საქმე და ელემენტარული წესრიგი არსებობდეს, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, და დასძინა, რომ მას რუსეთის პრეზიდენტთან კარგი, საქმიანი ურთიერთობა აქვს, მაგრამ იმ ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, რომლებიც შემსრულებლები არიან, ძალიან ჭირს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მიესალმა რადიომსმენელებს და უსურვა, რომ მათმა ქვეყანამ, რაც შეიძლება მალე გადალახოს მის წინაშე მდგომი პრობლემები და გახდეს სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფო. ეს ყველას ნატვრაა, — თქვა დასასრულ ედუარდ შევარდნაძემ, — რადგან, რუსეთში სტაბილურობის მოუღწევლად, მსოფლიო სტაბილური ვერ იქნება.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პრეს-ცენტრი.

მიიღეს ესპანეთის ელჩი

21 დეკემბერს ესპანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მისმა აღმატებულებამ ეუხენიო ბრეგოლატ ობიოლსმა რწმუნების სიგელები გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს. სიგელების გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია გაიმართა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმრების მისაღებ დარბაზში.

სურათზე: ესპანეთის ელჩის მიღების დროს.
გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შემდეგ გაიმართა საუბარი ბატონ ედუარდ შევარდნაძესა და ბატონ ეუხენიო ბრეგოლატ ობიოლსს შორის.

ედუარდ შევარდნაძე შეეხო პრობლემებს, რომლებიც დღეს დგას საქართველოს წინაშე, აღნიშნა, რომ დემოკრატიის გზაზე მდგომ რესპუბლიკას დიდი იმედი აქვს ევროპის ქვეყნების, მათ შორის ესპანეთის მხარდაჭერისა. მან ელჩის ყურადღება მიაქცია რუსეთში მიმდინარე პროცესებს, რაც საფრთხეს უქადის მთელ კაცობრიობას. დღეს, როგორც არასოდეს, საჭიროა მსოფლიომ გაიცნობიეროს ამ საშიშროების რეალურობა და ხელი შეუწყოს რუსეთის საღად მოაზროვნე ძალებს, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

ესპანეთის ელჩმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა ესპანეთის მეფის, მისი უდიდებულესობის ხუან კარლოსის და ესპანეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ფილიპე გონსალესის კეთილი სურვილები, აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მზად არის საქართველოსთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობისათვის, რასაც უახლოეს მომავალში ოფიციალური დოკუმენტებით გააფორმებენ. თავდაპირველად, ესპანეთის მთავრობა ფიქრობს საქართველოს მისცეს მოკლევადიანი კრედიტები, შემდეგ, როცა უფრო მეტად გამოიკვეთება საქართველოს ინტერესები, შეიძლება ფიქრი საშუალო და გრძელვადიან კრედიტებზეც.

ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაიხადა კეთილი სურვილებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმ გაჭირვებისა, რასაც დღეს საქართველოს ეკონომიკა განიცდის, ჩვენი რესპუბლიკა მხოლოდ ორმხრივ ხელსაყრელი კონტაქტების განვითარების მომხრეა. საქართველოს აქვს ბევრი რეზერვი, რომლებიც უთუოდ დააინტერესებს ესპანელ ბიზნესმენებს. ამ სიტყვების დასტურად ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ელჩს გადასცა საქმიანი წინადადებების შემცველი წერილი ესპანეთის პრემიერისადმი.

საუბრის დასასრულს ესპანეთის ელჩმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს გადასცა ესპანეთში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური მიწვევა.

• • •

იმავე დღეს ესპანეთის ელჩი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **თენგიზ სიგუამ.**

— საქართველო აშენებს დემოკრატიულ ქვეყანას საომარ პირობებში, — აღნიშნა ბატონმა თენგიზმა. — ენერგეტიკულ კრიზისს დაემატა სირთულეები მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ყველა წამყვან დარგში. ჩვენ ძალიან გამოგვადგება ესპანელების გამოცდილება, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიები, საზღვაო ფლოტის განვითარება, ტურიზმის ინდუსტრია. უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. ასე, მაგალითად, ესპანელები, ამონტაჟებენ შამპანური ღვინის ჩამოსხმის ავტომატურ ხაზს. ეს პირველი კონტაქტი იმედს გვაძლევს, რომ მომავალში ეკონომიკურ ურთიერთობას კარგი პერსპექტივები ექნება.

ესპანეთის ელჩმა დიდი მადლობა გადაუხადა ბატონ თენგიზ სიგუას, და აღუთქვა, რომ მისი ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველომ ნაკლებად მტკივნეულად გადაიტანოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ ესპანეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა, ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება და გააღრმავებს მათ შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

„დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ ჩემი საქართველო აყვავებული და ბედნიერი იქნება“

ედუარდ შევარდნაძემ ინტერვიუ მისცა იტალიის ტელევიზიას

პაოლო ბერნარი, იტალიის ტელევიზიის „რაი-2“ ტელეკომენტატორი ღელავდა: — ამ ინტერვიუს მთელი იტალია ელოდება, რადგან კარგად იცნობს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკოსს, რომელმაც შეცვალა ჩვენი სამყარო. ამასთანავე არ შემიძლია არ დავამატო ისიც, რომ იტალიას უყვარს ედუარდ შევარდნაძე. ამიტომ გასაგებია ჩემი ღელვა. სულ რამდენიმე დღის წინათ შედგა სატელეფონო საუბარი ბატონ ედუარდსა და ბატონ ანდრეოტის შორის, რომელმაც მთელი იტალიური საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ამასობაში ტელეოპერატორებმა მოამზადეს სოფიტები, კიდევ ერთხელ შეამოწმეს აპარატურა და № 1 მზადყოფნა გამოცხადდა.

ოთახში შემოვიდა ბატონი ედუარდი, ღიმილით მიესალმა სტუმრებს და დაიწყო ინტერვიუ, რომელიც ჩვენი აზრით, არც ქართველი მკითხველისათვის უნდა იყოს უინტერესო.

კითხვა: ინტერვიუ მინდა დავიწყო მეტად მნიშვნელოვანი საკითხით — თქვენი ნათლობის შესახებ, როგორ მოხდა ეს?

ედუარდ შევარდნაძე: ალბათ, უფრო საინტერესოა, როგორ მივედი ამ მნიშვნელოვან ფაქტამდე ჩემს ცხოვრებაში, როგორ შეიცვალა ჩემი მსოფლმხედველობა. ეს ძნელი ბრძოლის შედეგია. მერწმუნეთ, კომუნისტური იდეოლოგიიდან მისვლა ქრისტიანულ ფილოსოფიამდე იოლი საქმე არ არის. ეს მეტად რთული პროცესია.

კითხვა: იტალიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი ნათლობის ფაქტი — ეს თქვენი პოლიტიკური კარიერის აუცილებელი გზაა.

ედუარდ შევარდნაძე: ეს ასე არ არის. ეს არის ჩემი ახალი მსოფლმხედველობის ფაქტი. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ პოლიტიკას სჭირდებოდა. პოლიტიკაშიც რომ არ ვყოფილიყავი, მე მაინც მივიდოდი ამ დასკვნამდე.

კითხვა: რა გინდოდათ ამ ფაქტით გეთქვათ მსოფლიოსთვის?

ედუარდ შევარდნაძე: მე მოვიგე ყველაზე ძნელი ბრძოლა — ბრძოლა საკუთარ თავთან.

კითხვა: შეასრულეს თუ არა რაიმე როლი თქვენს გადაწყვეტილებაში კერძო პიროვნებებმა?

ედუარდ შევარდნაძე: როგორც ყოველი ადამიანი, რასაკვირველია, მეც გარემოცვაში ვიმყოფები. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მხოლოდ ჩემს პიროვნებაში მიმდინარეობდა მთავარი პროცესები. ეს იყო ბრძოლა საკუთარ თავთან.

კითხვა: თქვენმა ოჯახმა თუ შეასრულა დადებითი როლი ამ გადაწყვეტილებაში?

ედუარდ შევარდნაძე: რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ჩვენ ერთად მივდიოდით ამ გზით: მეუღლე, შვილები, შვილიშვილები.

კითხვა: თქვენ ქრისტიანული ერის შვილი ბრძანდებით. როდის იგრძენით, რომ უნდა გახდეთ ქრისტიანი, როდესაც დაემხო კომუნისტური იდეოლოგია, თუ უფრო ადრე?

ედუარდ შევარდნაძე: მაშინაც კი ვგრძნობდი და მესმოდა ყველაფერი, როცა მწამდა და მჯეროდა კომუნისტური იდეოლოგიისა. ცნობილია, რომ ჩემმა სამშობლომ, საქართველომ მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა, ფაქტობრივად კი ზოგიერთმა რეგიონმა უფრო ადრეც. საქართველოსათვის ამ ფაქტმა ერთის მხრივ, გიგანტური როლი შეასრულა კულტურის, ზნე-ჩვეულების, ლიტერატურის და, ბოლოს, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მეორე მხრივ, საქართველომ საუკუნეების მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გზა განვლო მუსულმანური ქვეყნების გარემოცვაში. კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ამ პროცესების შედეგად მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი და უსასტიკესი ბრძოლებისა, ცხოვრებამ თავისი ქნა და საქართველოში ჩამოყალიბდა სხვადასხვა რელიგიების თანაარსებობის უნიკალური ფენომენი.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ დაბრუნდით საქართველოში. ამ ფაქტმა ხომ არ დაბადა ეჭვი, რომ თქვენ იმიტომ იწამეთ ქრისტიანობა, რომ ეს პოლიტიკას სჭირდებოდა?

ედუარდ შევარდნაძე: დიახ, არის ასეთი ეჭვი. ყველა პოლიტიკოსის ბედია, რომ ყოველი მისი ნაბიჯი ეჭვს იწვევს, მაგრამ მე პოლიტიკაში ყოველთვის პატიოსნების მომხრე ვარ. პატიოსნების პრინციპებზე ვდგავარ. ამას ხალხი ადრე თუ გვიან იგებს.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, რადგან საქართველო რეგიონში ქრისტიანობის კუნძულია, ხომ არ გააღრმავებს ეს ფაქტორი მის იზოლაციას?

ედუარდ შევარდნაძე: არა მგონია. საქართველოში არსებობს სხვადასხვა რელიგიების თანაარსებობის უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილება. ჩვენთან ნებისმიერი რელიგიის სრული თავისუფლებაა. ისლამის რელიგიის ასიათასობით მორწმუნეა. 26 საუკუნეა, რაც ებრაელები ცხოვრობენ საქართველოში. აქ არიან კათოლიკები, გრიგორიანელები — სომხები და სხვა. რაც შეეხება პირადად ჩემს ურთიერთობას მუსულმანურ სამყაროსთან, — აქ პრობლემები არა მაქვს და არ მექნება. მე კარგი ურთიერთობა მაქვს თურქეთის ხელმძღვანელობასთან, ასევე კარგი ურთიერთობა მაქვს ირანთან.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, ვინ არის დღეს თქვენი ღმერთი?

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

⊙ საქართველოს პროკურატურა ბრალსა სდებს! 2
⊙ წლისთავი, ანუ ფელეტონისტს სულაც არ ეხუმრება. 4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ყოფილ წევრთა შრომითი მოწყობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრი, რომელიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე ასრულებდა თავის მოვალეობას, მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით დაუსაქმებელი დარჩა.

დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის აპარატს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაუყოვნებლივ განიხილონ და გადაწყვიტონ ამ მუშაკთა შრომითი მოწყობის საკითხები მათი კვალიფიკაციის, დამსახურების, პროფესიული, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი თვისებების გათვალისწინებით.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 19 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ იქნეს შემოღებული მიღებისთანავე. კანონის მე-14 მუხლი განმეორებით იქნეს განხილული არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 18 დეკემბერი.

პრინციპულ, საქმიან ვითარებაში

გუშინ საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მერიის, დედაქალაქის რაიონების ხელმძღვანელთა, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა მორიგი ყოველკვირეული თათბირი, რომელიც ქალაქში მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს იძღვნება. გაიმართა მწვავე, პრინციპული საუბარი არსებული ვითარების შესახებ. თათბირს უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ედუარდ შევარდნაძემ.

ოთარ შალიკაშვილი საზოგადოება „თბილისელის“ წევრია

ჩვენი ამერიკელი თანამემამულე გენერალი ოთარ შალიკაშვილი, რომელიც საქართველოში მოგზაურობს, 18 დეკემბერს საქართველოს კულტურის ფონდისა და საზოგადოება „თბილისელის“ სტუმარი იყო. ამ საზოგადოების თავმჯდომარემ დავით ციციშვილმა მას გადასცა სიგელი და სამკერდე ნიშანი, რომელიც ადასტურებს, რომ მათი მფლობელი ამიერიდან არის „თბილისელის“ წევრი. შეხვედრაზე სტუმარს გადაეცა აგრეთვე პირადად მისთვის და მისი ძმისათვის ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების სარდლის ჯონ შალიკაშვილისათვის განკუთვნილი სამახსოვრო საჩუქრები.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

ავტოკატასტროფაში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად

თურქეთის რესპუბლიკაში ავტოკატასტროფაში დაღუპულ საქართველოს მოქალაქეთა დაკრძალვისა და მათი ოჯახების დასახმარებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა დაღუპულ პირთა დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ავთანდილ მარგიანი (თავმჯდომარე), გივი რუხაძე, ნუგზარ რუხაძე, სულეიმან სულეიმანოვი, რევაზ ტყემალაძე, იოსებ ხელაშვილი.

დაღუპული პირები დაიკრძალებიან სახელმწიფოს ხარჯზე.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა გამოუყოს ქ. თბილისის მერიას 600 ათასი მანეთი ავტოკატასტროფაში დაღუპული 24 თბილისელი მოქალაქის ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად, თითოეულ დაღუპულზე 25 ათასი მანეთის ოდენობით.

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

⊙ **გადარიცხეს** საქართველოს პარლამენტის წევრებმა: თენგიზ აბულაძემ — ხუთი ათასი მანეთი, გიორგი (ცეზარ) ახმეტელმა სამი ათასი, სიმონ (ჯემალ) აჯიაშვილმა — ხუთი ათასი, მალხაზ ბარამიძემ — ორი ათასი, შალვა ბერიანიძემ — სამი ათასი, კონსტანტინე ბერიძემ — ხუთი ათასი, რუსუდან ბერიძემ — ორმოცი ათასი, თენგიზ ბუაჩიძემ — ხუთი ათასი, თენგიზ გაზდელიანმა — ოცი ათასი, ზურაბ (სულიკო) გოგიამ — სამი ათას ხუთასი, ვახტანგ გოგუაძემ — ათი ათასი, ჯემალ გორგოძემ — ხუთი ათასი, ალექსანდრე გუგუნავამ — ორი ათასი, რობინზონ კალაძემ — ორი ათას სამასი, ნოდარ კოხრეიძემ — ხუთი ათასი, ნიკოლოზ ლეკიშვილმა — ოცი ათასი, თეიმურაზ (ჯუბო) მგელიაშვილმა — სამი ათასი, მერაბ მეტრეველმა — ათასი, რომან მიმინოშვილმა — ათასი, ზურაბ მურვანიძემ — ათასი, ამირან ნადარაიამ — ხუთი ათასი, თეიმურაზ ქორქოლიანმა — ორი ათასი, თეიმურაზ ქორქოლიანმა — ორი ათასი, მამული ქლენტმა — ორი ათასი, გურამ უსტიაშვილმა — ათასი, ქიული შარტავამ — ხუთი ათასი, ჯანსუღ ჩარკვიანმა — ხუთი ათასი, დიმიტრი ჩიტლოვმა — სამი ათასი, რევაზ (რეზო) ჭეიშვილმა — ორი ათას ხუთასი, ზურიკო ნაცვლიშვილმა — სამი ათასი, ლუიზა შაკიაშვილმა — ათი ათასი, სერგო რუხაძემ — ორი ათასი, მიხეილ ჩხენკელმა — შვიდი ათას ხუთასი.

⊙ **გორის** კერძო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიურმა კოლექტივმა (რექტორი — ანზორ კაპანაძე) ფონდში გადარიცხა 100 ათასი მანეთი.

⊙ **გორის** მე-9 საშუალო სკოლამ (დირექტორი — ცირა ჯაჯანიძე) — 49 ათასი მანეთი.

⊙ **გარდაბნის** საგზაო სამმართველომ საქართველოს თავდაცვის ფონდში ჩარიცხა 200.000 მანეთი.

⊙ **მიმდინარე** წლის 16 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის ორგანოების თანამშრომლებმა კუთვნილი ხელფასიდან საქართველოს თავდაცვის ფონდში დამატებით გადარიცხეს 830 000 მანეთი.

„დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ ჩემი საქართველო აყვავებული და ბედნიერი იქნება“

(დასასრული)

ედუარდ შევარდნაძე: ვინ არის ჩემი ღმერთი? მე ფანატიკოსი არ ვარ. წარმოდგენილი მაქვს, რომ არის უზენაესი ძალა, რომლის მხედველობის არეში ვართ ყველა. ეს უზენაესი ძალა განსჯის ჩვენს სიმართლეს, ჩვენს პატიოსნებას, ჰუმანიზმს, კაცთმოყვარეობას, სიკეთეს. ეს ძალა ჩემთვის არის ღმერთი, ხორციელქმნილი, სიტყვა, ლოგოსი.

კითხვა: დავბრუნდეთ წარსულში. ჩავატაროთ ისტორიული წიაღსვლა, როდესაც თქვენ იყავით კომუნისტური იდეოლოგიის ლიდერი, თქვენ იცოდით, რომ მარქსიზმი არ უტოვებს რელიგიას ადგილს, თქვენ კი არ იყავით ქრისტიანული რელიგიის მოწინააღმდეგე, რას ნიშნავს ეს?

ედუარდ შევარდნაძე: მარქსიზმი მე კარგად შევისწავლე, არ ვიცი, კარგია ეს თუ არა. ალბათ, კარგია, საფუძვლიანმა შესწავლამ და ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ მიმიყვანა დასკვნამდე, რომ ყველაფერი უნდა შეიცვალოს, თორემ მსოფლიო დაიღუპება. ეს არის მთავარი.

კითხვა: როდის მიხვედით ამ დასკვნამდე?

ედუარდ შევარდნაძე: თარიღის დასახელება შეუძლებელია, ადამიანი არ მიდის ამ დასკვნამდე ერთ დღეში და თუ გინდ ერთ წელიწადშიც. ეს იყო პროცესი, ხანგრძლივი პროცესი. რეალურმა ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ის, რაც ხდება მსოფლიოში — იდეოლოგიური და კლასობრივი გათიშვა, ცივი ომი — მიიყვანს მსოფლიოს კატასტროფამდე. და ამ დასკვნამდე შეუძლებელია ადამიანი მივიდეს რაღაც გარკვეულ კონკრეტულ დღეს.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, როგორ აფასებთ დღეს თქვენ წარსულ პოლიტიკურ ასპარეზს?

ედუარდ შევარდნაძე: შეიძლება ეს არ იყოს თავმდაბალი კაცის პასუხი, მაგრამ მე კმაყოფილი ვარ ჩემი თავისა. მე შევძელი თითქმის შეუძლებელი.

კითხვა: ისტორია რომ დავაბრუნოთ უკან, რას არ აკეთებდით დღეს და რას ისურვებდით, რომ გაგეკეთებინათ?

ედუარდ შევარდნაძე: თუ ის ეპოქა იქნებოდა, რომელშიც მე ვცხოვრობდი, მაშინ უნდა გამევლო ის გზა, რომელიც გავიარე. მე ხომ ჩემი ეპოქის შვილი ვარ, საკუთარი თავისადმი პრეტენზიების წაყენებაც ობიექტური უნდა იყოს. მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: ჩემი მშობლები ოცნებობდნენ, რომ მე ექიმი ვყოფილიყავი. მგონია, მათთვის რომ დამეჯერებინა, კარგი ექიმი დავდგებოდი. იქნებ ასე სჯობდა (?!)

კითხვა: დღეს თქვენ ბრძანდებით იმ პატარა ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ხამშარ მდგომარეობაშია. თქვენ, რომელმაც ითამაშეთ ისტორიული როლი მსოფლიოს გარდაქმნაში, შეგეძლოთ გეცხოვრათ საზღვარგარეთ და საკმაოდ უზრუნველადაც, რამ გადაგადგმევინათ ეს ნაბიჯი?

ედუარდ შევარდნაძე: სიყვარულმა, ჩემი ქვეყნის სიყვარულმა და პასუხისმგებლობამ. დღეს ჩემი ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შემეძლო სხვა არჩევანი გამეკეთებინა. უჩემოდ ძნელი იქნებოდა ჩემი ქვეყნისათვის. ჩემი მონაწილეობა აუცილებელი იყო ჩემი სამშობლოს დემოკრატიული გზის მშენებლობაში. დანაშაული იქნებოდა, რომ ამ დროს ჩემთვის ოაზისი მეძებნა.

კითხვა: რწმენამ, რელიგიურმა რწმენამ თუ შეასრულა გარკვეული როლი ამ გადაწყვეტილებაში?

ედუარდ შევარდნაძე: ყველაფერმა ერთად. ეს საკითხი — ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ — ბრძოლა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, ქრისტიანობისათვის.

კითხვა: როგორ შეაფასებდით ვითარებას თქვენს ქვეყანაში?

ედუარდ შევარდნაძე: ძალიან მძიმე ვითარებაა. და რომ არა დიდი სიყვარული იტალიისადმი, მისი ხალხისადმი, ისე ვარ დაკავებული, რომ ვერ მოვიცლიდი ინტერვიუსათვის. შეზღუდულია ხორბლის რესურსები, არა გვაქვს საწვავი, ძველი იმპერია ისე იყო აწყობილი, რომ ყველა რესპუბლიკა ერთმანეთზე იყო დამოკიდებული, ყველა ერთად კი — ცენტრზე. აი რატომ აღმოვჩნდით უძლურ მდგომარეობაში. მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ. საქართველოს უფრო მძიმე განსაცდელიც გადაუტანია. ღმერთი ჩვენთან არის.

კითხვა: რა ხდება აფხაზეთში, რატომ არის ამდენი მსხვერპლი?

ედუარდ შევარდნაძე: ეს რუსეთის რეაქციული ძალების ბრალია, მე მათ წითელ-მიხაკისფერ ჭირს ვუწოდებ, რომელიც აფხაზური სეპარატიზმის წისქვილზე ასხამს წყალს. დღეს რეალური საფრთხე დაემუქრა საქართველოს მთლიანობას, მაგრამ საქართველო არც ერთ გოჯ მიწას არ დათმობს, ეს შეუძლებელია.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, სულ რამდენიმე დღის წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტოკჰოლმში განცხადება გააკეთა, რომ რუსეთი არ დათმობს თავის ინტერესებს ყოფილ რესპუბლიკებში, და თუ დასჭირდა, ძალასაც კი გამოიყენებს. თქვენ რა შეფასებას მისცემთ ამას?

ედუარდ შევარდნაძე: როდესაც მან ეს განცხადება გააკეთა, მერე დააზუსტა, რომ ეს იმ ძალების აზრია, რომლებიც პრეზიდენტ ელცინს ებრძვიან. მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი საფრთხე არ არის გამორიცხული. ჩვენ ამას აფხაზეთის მაგალითზეც ვხედავთ.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, თუ რომელიმე რესპუბლიკა კონფლიქტშია რუსეთთან და მას გააჩნია ბირთვული იარაღი, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ის მან გამოიყენოს?

ედუარდ შევარდნაძე: ბირთვული იარაღის გამოყენებას გამოვრიცხავ. მსოფლიოს ვეღარავინ გაყოფს ორ ნაწილად, მე რესპუბლიკებსაც ვგულისხმობ. ბირთვულ ომს გამოვრიცხავ. დღეს ეს საფრთხე რეალურად არ არსებობს. და ვამაყობ, რომ ჩემი წვლილიც არის ამ დიდ საქმეში.

კითხვა: თქვენ და გორბაჩოვი ბრძანდებით გარდაქმნის მამამთავრები. შეიძლება თუ არა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირი დაუბრუნდეს ტოტალიტარულ სისტემას?

ედუარდ შევარდნაძე: მე არაერთხელ ვაფრთხილებდი დიქტატურის საფრთხეზე. სამწუხაროდ, ჩემი მწარე პროგნოზი გამართლდა. მხედველობაში მაქვს მოსკოვის აგვისტოს პუტჩი. დღესაც მიმაჩნია, რომ ასეთი საფრთხე არსებობს. და თუ ეს მოხდა, შეიძლება გადაიზარდოს ცივ ომად მსოფლიო მასშტაბით, და არა მარტო ცივ ომად.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, როცა თქვენ იყავით საგარეო საქმეთა მინისტრი, კარგი ურთიერთობა გქონდათ ბატონ რეიგანთან, ბატონ ბუშთან. ახლა, როცა თქვენ პატარა ქვეყნის პრეზიდენტი ხართ, როგორი იქნება თქვენი ურთიერთობა პრეზიდენტ კლინტონთან?

ედუარდ შევარდნაძე: ახლა სხვა დროა. მაგალითად, ბატონ რეიგანს მე შევხვდი 30-ჯერ, ასევე ხშირად ვხვდებოდი ბატონ ბუშს. მაგრამ ასევე კეთილი განწყობა მაქვს პრეზიდენტ ქლინტონთან. ამას მოწმობს ჩვენი სატელეფონო საუბარი ამ რამდენიმე ხნის წინათ. ჩვენ შევთანხმდით, რომ არ არსებობს არავითარი ფორმალური ბარიერები ჩვენი ურთიერთობისათვის. ჩვენ შეიძლება დაველაპარაკოთ ერთმანეთს ნებისმიერ საკითხებზე, რაც გვაინტერესებს.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, დღეს მსოფლიოში, სამწუხაროდ, ძალის პოლიტიკა იმარჯვებს დიალოგის პოლიტიკაზე. თქვენი აზრი?

ედუარდ შევარდნაძე: თქვენ იცით ჩემი საუბრის შესახებ ბატონ ანდრეოტისთან. ჩვენ ვილაპარაკეთ წინააღმდეგობებზე — ექსტრემისტულ სეპარატიზმზე, რომელიც მოიტანს ქაოსს. საფრთხე არსებობს მდიდარ და ღარიბ სამყაროს, სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის დაპირისპირებაში. არსებობს საფრთხე, რომ ეს დაპირისპირება გადაიზარდოს დიდ უბედურებაში. თავის დროზე მე შევთავაზე უშიშროების საბჭოს, რომ ისეთი პოტენციურად ძლიერი ქვეყნები, როგორებიცაა გერმანია და იაპონია, გამხდარიყვნენ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები. საჭიროა მივიღოთ კონსტრუქციული ზომები. დროა, ზოგადი მოწოდებებიდან გადავიდეთ რეალურ საქმეებზე. ესაა პრობლემის ხსნა.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, ქრისტიანული მოძღვრებით ოჯახი არის ადამიანის ცხოვრების მთავარი ქვაკუთხედი. თქვენ იზიარებთ ამ შეხედულებას?

ედუარდ შევარდნაძე: აბსოლუტურად.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ღებულობთ გადაწყვეტილებებს მეტად რთულ სიტუაციებში. რას ეფუძნება თქვენი გადაწყვეტილებები?

ედუარდ შევარდნაძე: რწმენას. მაგრამ ჩემი რწმენა ემყარება სერიოზულ ანალიზს. დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ ჩემი საქართველო აყვავებული და ბედნიერი ქვეყანა იქნება. ჩემი რწმენა ემყარება ჩემი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. ჩემი გადაწყვეტილებები ქრისტიანულ რწმენაზეც არის დაფუძნებული. იცით, თუ რელიგიური რწმენა შთაუნერგავს ადამიანს კაცთმოყვარეობას, სიკეთეს, ჰუმანიზმს და პოლიტიკაში გადადის, მაშინ პოლიტიკა ღებულობს ადამიანურ სახეს. მისი საფუძველი კი სიკეთის წყაროდ იქცევა.

კითხვა: ეს თქვენი აზრია?

ედუარდ შევარდნაძე: დიახ, მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი, რადგან ეს ჩემთვის პრინციპული საკითხია. მე პოლიტიკაში, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, პატიოსნების მომხრე ვარ. ეს ჩემი კრედოა.

იტალიის ტელეკომენტატორი: დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო.

ედუარდ შევარდნაძე: მე მივესალმები იტალიელ ხალხს, ძალიან მიყვარს იტალიელები და იტალია. მაგრამ... საქართველო — უპირველეს ყოვლისა!

მიზნად ისახავს დაძაბულობის შემდგომ ესკალაციას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პრესმდივნის განცხადება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პრესმდივანი უფლებამოსილია განაცხადოს:

როგორც საქართველოს პარლამენტის ამასწინანდელ სხდომაზე აღინიშნა, უკანასკნელ ხანს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეიმჩნევა სერიოზული გართულებები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია აფხაზეთის კონფლიქტში და მთლიანად საქართველოს შინაურ საქმეებში რუსეთის რეაქციული ძალების უხეშ ჩარევასთან. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცდილობენ მიჩქმალონ საქმის ნამდვილი არსი და მისცენ მოვლენებს არასწორი ინტერპრეტაცია. სამწუხაროდ, წესად იქცა, თითქმის ყველა შემთხვევაში საქართველოს უცერემონიო დადანაშაულება. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, აგრეთვე ოფიციალურმა პირებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გართულების ძირითადი მიზეზებიდან აქცენტი გადაიტანეს ა. წ. 14 დეკემბერს გულრიფშის რაიონის ს. ლათასთან მი-8 მტ შვეულმფრენის დაღუპვაზე, თანაც ისე, რომ ტრაგედიის მიზეზების საფუძვლიანი შესწავლის გარეშე რუსეთმა პირდაპირ განაჩენი გამოუტანა საქართველოს. სწორედ ამან განაპირობა აუცილებლობა განცხადებით მივმართოთ საზოგადოებრიობისათვის და განვმარტოთ საქმის რეალური არსი.

ტრაგედიის უმთავრესი მიზეზია საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის სისტემატური და უცერემონიო დარღვევა რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების მიერ, რაც წარმოადგენს როგორც სუვერენული ქვეყნის, ისე საერთაშორისო საჰაერო კოდექსის სრულ უგულებელყოფას. საქართველოს პარლამენტის განცხადებაში ჩამოთვლილია მრავალი ფაქტი რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მონაწილეობისა ქართული დასახლებული პუნქტების დაბომბვასა და დარბევაში. ყოველდღიურად ქალაქების სოხუმის და ოჩამჩირის თავზე, ქართული მხარის პროტესტთა მიუხედავად, დაფრინავენ მოიერიშე თვითმფრინავები და შვეულმფრენები, რომლებიც ემორჩილებიან რუსეთის არმიის ნაწილებს, გუდაუთის რაიონში რომ დაიდეს ბაზა.

შედეგი — ათობით დანგრეული სოფელი და მრავალი ათეული ადამიანის მსხვერპლი. საქართველოს მხარეს არასდროს შეუშლია ხელი ჰუმანური ტვირთის ტრანსპორტირებისათვის. როგორც უკვე ითქვა, არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, რუსეთის შეიარაღებული ძალების საფრენი აპარატები რეგულარულად არღვევდნენ საქართველოს საჰაერო სივრცეს. ორმხრივი შეთანხმება ტვირთების შემოწმების შესახებ არ სრულდებოდა — რუსეთის თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ტვირთი არასდროს შემოწმებულა საქართველოს მხარის მიერ. გუდაუთიდან კი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა უშუალო მონაწილეობით მუდმივად ხდება იარაღის, საბრძოლო მასალისა თუ შეიარაღებულ დაქირავებულთა გადაყვანა.

14 დეკემბრის კონკრეტულ შემთხვევაში გვაქვს იმის უტყუარი ფაქტები, რომ აღნიშნული რეისი სრულდებოდა ძირითადად სამხედრო მიზნებით. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ შვეულმფრენმა შეგნებულად დაარღვია მარშრუტი და კავშირის რადიოს სიხშირე, რათა თავიდან აეცილებინა კონტროლი და ტვირთის ინსპექცია ქ. სოხუმში.

როგორც ცნობილია, ს. ლათასთან დატრიალებულმა ტრაგედიამ 60-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შვეულმფრენში იმყოფებოდნენ სამხედრო მოსამსახურეები, აფხაზი მოთარეშეები და ქართველი ტყვეები. კატასტროფის ადგილიდან ამოღებულია დიდძალი საბრძოლო იარაღი და ტყვიაწამალი. აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიებით შვეულმფრენში მყოფთა რაოდენობა და გადასატანი ტვირთის სიმძიმე რამდენჯერმე აღემატებოდა დაშვებულ ნორმას, რაც თავისუფლად შეიძლებოდა გამხდარიყო კატასტროფის მიზეზი.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტი, ისევე, როგორც საერთოდ რუსეთის საავიაციო ქვედანაყოფების მოქმედება აფხაზეთში, საფუძველშივე პროვოკაციულია იმდენად, რამდენადაც იგი არასწორ წარმოდგენას უქმნის საზოგადოებრიობას ქართველ ხალხზე და მის სამართლიან ბრძოლაზე დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის და, ამავე დროს, მიზნად ისახავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაძაბულობის შემდგომ ესკალაციას. სახელმწიფოთა ურთიერთობის ელემენტარული წესების, საჰაერო კოდექსის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ნორმების უხეში დარღვევით მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთა გადაყვანის ორგანიზატორთა სინდისზეა ათობით ადამიანთა დაღუპვა და მათი ოჯახების ტრაგედია.

ინტერვიუ ნომერში

ბრალდება!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ზოგიერთი გარემოების გამო

ამ დღეებში რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში გაჩნდა [illegible] ცნობები იმის შესახებ, რომ მოსკოვში ყოფნის დროს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სისხლის სამართლის სამმართველოს უფროსმა, საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა ანზორ ბალუაშვილმა მოსკოველ ჟურნალისტებთან გამართული პრესკონფერენციის დროს ნათელი მოჰფინა მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბრალდებისა და მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ზოგიერთ გარემოებასთან.

ცხადია, ამ ფაქტმა ქართველ ჟურნალისტთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. პრესკონფერენციაზე, რომელიც გუშინ გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ ფედერაციაში, ბატონმა ანზორ ბალუაშვილმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას.

პრესკონფერენციის შემდეგ ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა ბატონ ანზორს ინტერვიუ ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

— ბატონო ანზორ, ჩვენი საზოგადოებრიობისათვის უკვე ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში დამთავრების სტადიაშია სისხლის სამართლის საქმის გამოძიება საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და სხვათა ბრალდებისა გამო, რომელიც მოიცავს ტერორისტული აქტების, დივერსიების, ბანდიტიზმის, მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფის და სხვა დანაშაულობათა ფაქტებს. როგორც თქვენ ამასწინათ მოსკოვში ჩვენს წარმომადგენლობაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, გამოძიებით დადგენილია ზ. გამსახურდიას როლი ამ დანაშაულობათა ორგანიზაციაში. ცხადია, ეს პრობლემა განსაკუთრებით გვაინტერესებს ქართველ ჟურნალისტებს და აქედან გამომდინარე ჩვენს საზოგადოებრიობასაც. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— მოგახსენებთ, მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდიამ დაკარგა სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, ყოფილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დატოვა საქართველო და თავი შეაფარა ქ. გროზნოს (ჩეჩნეთის რესპუბლიკა), საიდანაც დანაშაულებრივი კავშირი დაამყარა საქართველოში მცხოვრებ, არსებული ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ პირებთან და დაკარგული ხელისუფლების დასაბრუნებლად ჩამოაყალიბა დანაშაულებრივი ბანდები, რომელთა მეშვეობით განახორციელა ტერორისტული აქტები, დივერსიები; ბანდიტური თავდასხმები, რასაც მოჰყვა უმძიმესი შედეგები.

1992 წლის მაისში ზ. გამსახურდიას წინადადებით საქტელერადიოდეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ თეიმურაზ კვანტალიანმა შეიმუშავა ტერორისტული აქტების გზით, საყოველთაოდ საშიში საშუალებებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრების ფიზიკური განადგურების გეგმა. ამ დანაშაულის სისრულეში მოსაყვანად 1992 წლის 30 მაისს ქ. გროზნოდან საქართველოში ჯერ ყაზბეგის რაიონში, შემდეგ კი თბილისში ჩამოიტანეს 300 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება — ტროტილი, ავტომატური იარაღი მჭიდებით და ვაზნებით, ჰურმტყორცნი ჭურვებით და სხვა საბრძოლო მასალა, რაც გადამალეს ქ. თბილისის № 8 საავადმყოფოს ტერიტორიაზე გედევან გელბახიანის სამსახურში. 1992 წლის ივნისის პირველ რიცხვებში პეტრე გელბახიანმა და გ. ელისაშვილმა დანაშაულის ჩასადენად შეიძინეს „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომანქანა, ირ. დოკვაძემ კი დაამონტაჟა დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობა.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯაბა იოსელიანის მიმართ ტერორისტული აქტის განხორციელების მიზნით 1992 წლის 9 ივნისს გედევან გელბახიანის ავტოსადგომში ელისაშვილმა და პეტრე გელბახიანმა „ზაპოროჟეცში“ დაამონტაჟეს ქ. გროზნოდან ჩამოტანილი ასაფეთქებელი ნივთიერების ნაწილი — 60 კილოგრამი ტროტილი. დააზუსტეს ჯ. იოსელიანის სახლიდან სახელმწიფო საბჭომდე მოძრაობის მარშრუტი. დრო, თანმხლები მანქანების რაოდენობა და განლაგება.

ჯ. იოსელიანის მოსაკლავად გამიზნული საშუალებების გამოყენებით დანაშაულის თანამონაწილეებმა იცოდნენ, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა მრავალ პირთა განზრახ მკვლელობა, მოქალაქეთა სხეულის დაზიანება, შენობებისა და სხვა ფასეულობების ნგრევა და განადგურება, მაგრამ ისინი შეგნებულად წავიდნენ ამაზე.

1992 წლის 18 ივნისს, 11 საათსა და 15 წუთზე, ავტომანქანით სამსახურში მიმავალმა ჯ. იოსელიანმა გაიარა ს. ჩიქოვანის ქ. № 39 სახლის წინ. შორი მანძილიდან სამართავი პულტით ააფეთქეს ტროტილით დამუხტული „ზაპოროჟეცი“, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ჯ. იოსელიანმა მანქანით რამდენიმე წამით გაასწრო აფეთქების მომენტს. იგი და მისი თანმხლები პირები შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს. ტერორისტებმა შემთხვევის ადგილზე აფეთქების შედეგად განზრახ მოკლეს ხუთი უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი — 7 წლის ოთარ ერაძე, ეთერ მახათაძე, კობა კვანტალიანი და მირანდუხტ იმნაიშვილი. სხეულის დაზიანებანი მიაყენეს შვიდ მოქალაქეს. ძლიერი აფეთქების შედეგად დაინგრა და დაზიანდა ს. ჩიქოვანის ქუჩაზე განლაგებული სახლები, მოქალაქეთა პირადი ქონება, რითაც მოსახლეობამ და სახელმწიფომ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი.

როგორც საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, ზ. გამსახურდიამ ამის შემდეგ ორგანიზება გაუკეთა უფრო ფართო მასშტაბის დანაშაულს, 1992 წლის 17 ივნისს ქ. გროზნოში გამოსცა ბრძანებულებები, რომლებითაც ყოფილ დეპუტატებს და სხვა ერთგულ თანამზრახველებს დაავალა საქართველოში დაკარგული ხელისუფლების დაბრუნების მიზნით განეხორციელებინათ დივერსიული და ტერორისტული აქტები, ბანდიტური თავდასხმები მმართველობის ორგანოებზე, საწარმო-დაწესებულებებზე, სახელმწიფო ორგანიზაციებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სხვა მნიშვნელოვან, სასიცოცხლო ობიექტებზე მათი მოშლისა და განადგურების მიზნით.

1992 წლის 24 ივნისის გამთენიისას ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულმა ბოროტგანმზრახველებმა ერთდროულად მოახდინეს ბანდიტური თავდასხმები: საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ოპერატიულ პოლკზე, განაიარაღეს დაცვა, გაიტაცეს 241 ცალი ავტომატი მჭიდეებითა და საბრძოლო მასალით, ხელის ტყვიამფრქვევი — ტყვიაწამლით, საბრძოლო ტანკი, ორი ჯავშანტრანსპორტიორი, სამი სატვირთო ავტომანქანა.

ავტომატური იარაღით დაცხრილეს ფუნიკულიორის პლატოზე მდებარე ტელეანძა და დაჭრეს ანძის შენობის დამცველი პოლიციელი.

იარაღის გამოყენებით აიღეს საქტელერადიოდეპარტამენტის შენობა, საიდანაც 1992 წლის 24 ივნისს დილის დაახლოებით 6-დან 8 საათამდე გავიდნენ ეთერში და გადასცემდნენ ყოფილი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მიმართვას, მოუწოდებდნენ ხალხს ძალადობისაკენ. თავდამსხმელებმა გაანადგურეს და გაიტაცეს ძვირადღირებული ტელეაპარატურა, მათი მოქმედებანი იმავე დღეს აღკვეთილი იქნა სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული საბრძოლო ოპერაციის შედეგად, ტელერადიოდეპარტამენტის შენობაშივე დააკავეს და განაიარაღეს შეთქმულები, ბანდიტური თავდასხმის აღკვეთის პროცესში დაიღუპა ერთი გვარდიელი და ხუთი თავდამსხმელი.

— ჩვენს პრესაში, საზოგადოებაში, ოჯახებში, ყველგან ერთთავად იმაზეა კამათი და მსჯელობა, რომ შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ადრეც და ახლაც დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მოქმედებენ, აწიოკებენ და ძარცვავენ ხალხს, აფეთქებენ ხიდებს, სარკინიგზო და საგზაო მაგისტრალებს თითქოს გროზნოდან იმართებოდნენ. ცხადია, არც ისე იოლია დაიჯეროს კაცმა ყოველივე ეს, თუ არ არსებობს კონკრეტული ფაქტობრივი მასალა. რა გააჩნია ამ მხრივ გამოძიებას?

— გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ 1992 წლის იანვრის ბოლოს ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებული შეიარაღებული ბანდები ლოთი ქობალიას, გოჩა ბახიას, ზურაბ ნაროუშვილის და სხვათა ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ და მძიმე დანაშაულს ჩადიოდნენ დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის რეგიონებში იმ მიზნით, რომ მოეშალათ სამართალდამცავი ორგანოების ქმედუნარიანობა, გამოეწვიათ ანარქია და ქაოსი. სისტემატურად ხელყოფდნენ სახელმწიფო სტრუქტურების თანამდებობის პირთა და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, პიროვნების თავისუფლებასა და უფლებებს.

მაგალითად: 1992 წლის 29 იანვარს ორგანიზებული შეიარაღებული ბანდა თავს დაესხა ჩხოროწყუს შს განყოფილების მუშაკებს და გაიტაცა ტაბელური ავტომატური იარაღი და სამსახურებრივი ავტომანქანა. ამის შემდეგ მანვე ჩაიდინა შეიარაღებული თავდასხმები, 30 იანვარს ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაზე და ამ განყოფილების უფროსის ომეხ მალანიას საცხოვრებელ სახლზე.

1992 წლის 20 თებერვალს, ქ. ზუგდიდში, ავტომანქანა „ვაზ-2121“-ში, რომლითაც პატრულირებას ახდენენ ეროვნული გვარდიის მებრძოლები, განზრახ მოკლეს გვარდიის წევრები გურამ წივწივაძე და ვაჟა ჯალიაშვილი, ხოლო ვალერი ბაქრაძეს მიაყენეს სხეულის დაზიანება.

1992 წლის 9 მარტის ღამეს განახორციელეს შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმები ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებებსა და სასტუმრო „ეგრისზე“, ბანდიტებმა ავტომატური იარაღის ცეცხლით დაცხრილეს სამივე შენობა, დაწვეს სასტუმრო „ეგრისი“, მოკლეს სამი გვარდიელი — დ. კულუმბეგოვი, ვ. [illegible], მ. ჩუგუნაძე, გაიტაცეს პოლიციის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღი და მიიმალნენ.

1992 წლის 22 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში განზრახ მოკლეს ჯონი შანავა, 1992 წლის 10 მაისს სოფელ ინგირში თავს დაესხნენ მოქ. ჯ. მაქაცარიას, მოსტაცეს ავტომანქანა, იმავე დღეს სოფელ ახალსოფელში დაჭრეს შინაგანი ჯარების ლეიტენანტი დავით ჩერქეზიშვილი, 1992 წლის 29 მაისს ავტომატური იარაღებით, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებითა და ტყვიამფრქვევებით მოახდინეს თავდასხმა ჩხოროწყუს რაიონის შს განყოფილებაზე, რა დროსაც ბანდის წევრების მიერ გამოყენებულ იქნა ზემოთ დასახელებული ყველა სახეობის იარაღი.

1992 წლის 31 მაისს სოფელ ზედა ეწერში თავს დაესხნენ ზუგდიდის შს სამმართველოს მუშაკებს ნუგზარ სვირიას, ნოდარ კანკიას, ანზორ ექონიას და გიგლა მოსიას, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, რა დროსაც დაჭრეს პოლიციელი გიგლა მოსია.

1992 წლის 24 ივნისს შეიარაღებული ბანდა დაესხა აბაშის რაიონის შს განყოფილებას.

1992 წლის 12 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში თავს დაესხნენ გზად მიმავალ ავტომანქანას, 27 აგვისტოს კი სენაკის რაიონის კურორტ მენჯში ბანდიტები თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილების ორ კორპუსს, იქვე მდგომ ავტობუსებს, სადაც დისლოცირებული იყვნენ საქართველოს შს სამინისტროს სხვადასხვა რაიონის პოლიციის მუშაკები. 1992 წლის 6 ივლისს მოხდა თავდასხმა წალენჯიხის რაიცენტრის სკოლა-ინტერნატის შენობაში დაბინავებულ საქართველოს „მხედრიონის“, ქვეგანაყოფზე, ამ ბანდიტური თავდასხმების დროს, როგორც ავტომატური ისე მძიმე საბრძოლო იარაღით განადგურდა ათობით შენობა, მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლები, მოკლეს და დაჭრეს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ისე რესპუბლიკის საჯარისო ფორმირებათა ათობით მუშაკი და მებრძოლი, უდანაშაულო მოქალაქეები.

— უნდა გაგახსენოთ კიდევ ერთი ამაზრზენი ფაქტი — რესპუბლიკის ვიცეპრემიერის ბატონ სანდრო კავსაძისა და სხვათა დატყვევება და მოტაცება. გვახსოვს, მაშინ ბატონ სანდროს გროზნოში ჩაყვანით ემუქრებოდნენ. გამოძიებას ალბათ ექნება ამ ფაქტთან დაკავშირებული მასალები. მაინც რა მოხდა?

— მოხდა ის, რომ ეს აქტიც მიმდინარე წლის 9 ივლისს, ზვიად გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ ჩაიდინა. ამ თავდასხმის დროს სოფელ კანთის ტერიტორიაზე ტერორისტებმა ავტომატური იარაღით დაცხრილეს და დაწვეს ა. კავსაძის სამსახურებრივი ავტომანქანა, ადგილზე დახვრიტეს კანდიდ გოგუა, მძევლად აიყვანეს და გაიტაცეს ალექსანდრე კავსაძე, ალექსანდრე მიქაია და ავტომანქანის მძღოლი, რომლებიც გადამალეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის ლუგელას ხეობაში.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებული ბანდების მეთაურებმა და ბანდის დაახლოებით 50-მა წევრმა 1992 წლის 11 აგვისტოს ქ. ზუგდიდში მოახდინეს შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმა და გაიტაცეს სამეგრელოს რაიონებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციის საკოორდინაციო შტაბის უფროსი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე, შტაბის უფროსის მოადგილე დავით სარალიძე, ადმინისტრაციული პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვალერიან როგავა, კრიმინალური პოლიციის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე მურთაზ ჩიქობავა, ინფორმაციისა და დაზვერვის სამსახურის თანამშრომელი მამია ალასანია, ქ. ზუგდიდის გამგებელი ოთარ ფაცაცია და შეხვედრის მონაწილე სხვა 12 პირი, რომლებიც ქ. ზუგდიდში სვანეთის ქ. № 10 გრიგოლ ქობალიას სახლში სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სამეგრელოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოცემული მანიფესტით გათვალისწინებული მიტევებისა და შერიგების ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების საკითხებზე.

ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულ ბანდიტთა რაზმმა, იარაღის გამოყენებით დაატყვევა და გაიტაცა რა ჩამოთვლილი პირები, ზუგდიდიდან წაიყვანეს ჯერ გალის რაიონში, შემდეგ კი გადამალეს აფხაზეთსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

1992 წლის 25 მაისს ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებული ბანდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯიხასკარში თავს დაესხა საქართველოს შს შინაგანი ჯარების სწრაფი რეაგირების ბატალიონს. ბანდიტებმა ავტომატური იარაღით და ყუმბარმტყორცნებით დაცხრილეს ბატალიონის კოლონა, მოკლეს ორი, დაჭრეს რვა მებრძოლი, დაწვეს ორი ავტომანქანა და მიიმალნენ.

დადგინდა, რომ ზ. გამსახურდიამ რესპუბლიკის ეკონომიკის განადგურების, მოსახლეობის მასობრივი შიმშილის გზით ფიზიკური მოსპობის მიზნით ჩამოაყალიბა ბანდიტური ჯგუფები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობათა ჩასადენად, რომლის მეშვეობითაც მან სამეგრელოს და აფხაზეთის რეგიონში მოამზადა დივერსიები სარკინიგზო ხიდების, ლიანდაგებისა და სხვა კომუნიკაციების სისტემატური აფეთქების მიზნით.

— როგორც თქვენ ამბობთ, მთელი ის უდიდესი ზარალი, რომელიც უკანასკნელი თვეების მანძილზე მიადგა ჩვენს სარკინიგზო თუ სატრანსპორტო მაგისტრალებს, პრეზიდენტყოფილის სახელთან და მის მითითებებთან უშუალოდ დაკავშირებული. აქვს კი გამოძიებას სათანადო მასალები და მტკიცებანი?

— ცხადია, მასალები არსებობს.. ისე რომ, ზ. გამსახურდიას მითითებით ჩამოყალიბებული დივერსანტული და ბანდიტური ჯგუფების მოქმედება ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 30 იანვარს სენაკი-ქვალონის გადასარბენზე არსებული რკინიგზის ხიდის აფეთქებით დაიწყო. შემდეგ მას მოჰყვა:

8 და 9 თებერვალს ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე რკინიგზის 50 მეტრი სიგრძის ლიანდაგის აყრა.

13 თებერვალს მწყობრიდან გამოიყვანეს რკინიგზის ლიანდაგი ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე. 14 თებერვალს იმავე გადასარბენზე რკინიგზის ხიდი.

16 თებერვალს კელასურ-დრანდის გადასარბენზე რკინიგზის ხიდი.

17 თებერვალს ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე ააფეთქეს 25 მეტრი სიგრძის ლიანდაგი.

21 თებერვალს კელასური-დრანდის გადასარბენზე კი რკინიგზის ხიდი. 22 თებერვალს დრანდა-აძიუბჟას გადასარბენზე. 22 და 23 თებერვალს ინგირი-ცაცხვის და აძიუბჟა-ტამიშის რკინიგზის გადასარბენზე ააფეთქეს 50 მეტრი ლიანდაგი, ხოლო 26 თებერვალს ტამიში-ოჩამჩირის გადასარბენზე რკინიგზის ხიდი.

2 მარტს ინგირი-ცაცხვის რკინიგზის გადასარბენზე დააზიანეს 25 მეტრი სიგრძის ლიანდაგი.

13 მარტს კი ამავე გადასარბენზე ააფეთქეს რკინიგზის ხიდი.

21 აპრილს კვლავ ააფეთქეს რკინიგზის ხიდი ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე.

6 მაისს რკინიგზის ხიდი ძირულა-ხარაგაულის გადასარბენზე.

7 მაისს ხიდი მარნეული-შულავერის გადასარბენზე.

25 მაისს ხიდი სენაკი-აგუძარას გადასარბენზე.

26 მაისს კვლავ რკინიგზის ხიდი ინგირი-ცაცხვის გადასარბენზე.

10 ივნისს ხიდი დრანდა-აგუძარას გადასარბენზე.

6 ივლისს ხიდი ჭალადიდი-ფოთის გადასარბენზე.

11 ივლისს სალხინო-ინგირის გადასარბენზე დააზიანეს 24 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი.

8 აგვისტოს ააფეთქეს ხიდი ჭალადიდი-ფოთის გადასარბენზე.

14 აგვისტოს ხიდი სალხინო-ინგირის გადასარბენზე.

21 აგვისტოს აჩიგვარა-გალის გადასარბენზე.

26 აგვისტოს ააფეთქეს რკინიგზის ხიდი ტამიში-ოჩამჩირის გადასარბენზე.

27 აგვისტოს კვლავ ააფეთქეს ხიდი აძიუბჟა-ტამიშის გადასარბენზე.

— თქვენ იმდენი რამ ჩამოთვალეთ, რომ, შესაძლოა, ყოველივე ამის ერთად აღქმა ჩვენც გაგვიჭირდეს. თუ არის შეჯამებული და გათვლილი ის ზარალი, რომელიც ამ ტერორისტული აქტების შედეგად მიადგა საქართველოს?

— როგორ არა. მოგახსენებთ.

1992 წლის 30 იანვრიდან 1 სექტემბრამდე ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდიტურმა ჯგუფებმა დივერსიული აქტების ჩადენით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არაერთხელ დააზიანეს 330 მეტრი სიგრძის რკინიგზის ლიანდაგი და 19 ხიდი, რის შედეგადაც შეწყდა როგორც სატვირთო შემადგენლობების, ასევე სამგზავრო მატარებლების მოძრაობა, მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 1 მილიარდ 600 მილიონი მანეთი.

ზვიად გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდიტურმა ჯგუფებმა 1992 წლის 30 იანვრიდან 1 სექტემბრამდე სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებში, მათ შორის, გაგრის, ბზიფის, განთიადის, გუდაუთის, დრანდის, გალის, აჩიგვარის, სალხინოს, სოხუმის, ეწერის, ოჩამჩირის, ხობის, სენაკის, ინგირის, ზუგდიდის, ქოლობნის, სამტრედიის, ხეთის რკინიგზის სადგურებზე მოაწყეს შეიარაღებული თავდასხმები და გაიტაცეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების მოსახლეობისათვის განკუთვნილი რკინიგზის შემადგენლობის 1928 ვაგონში მოთავსებული სასიცოცხლო მნიშვნელობის ტვირთი, განსაკუთრებით დიდი ოდენობის — 11 მილიარდი მანეთი ღირებულების სახელმწიფო ქონება.

— ამ გამოძიებაში ალბათ ცალკეა გამოყოფილი ე. წ. კახეთის, უფრო სწორად, ყვარლის ეპიზოდი, მაინც რა დაადგინა გამოძიებამ?

— გამოძიებით დადგინდა, რომ 1992 წლის ივნისში ქ. გროზნოში ზვიად გამსახურდია მის მიერ ორგანიზებულ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენ ბანდის წევრებს ვიქტორ დომუხოვსკის, თეიმურაზ კვანტალიანს, პეტრე გელბახიანს შეუთანხმდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უკანონოდ შეეძინათ დიდი ოდენობით ავტომატური იარაღი, ჭურვები, ფეთქებადი მასალა და სხვა საბრძოლო საშუალებანი, იქვე მოემზადებინათ საქართველოდან სპეციალურად გაგზავნილი პირები და საბრძოლო წვრთნის გავლის შემდეგ კახეთის რეგიონში ჩაედინათ ტერორისტული აქტები, დივერსიები, ბანდიტური თავდასხმები, პოლიციის და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ფიზიკური განადგურება. ამის შემდეგ ქ. თბილისში უნდა მოეხდინათ მასირებული თავდასხმები, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის სხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მიმართ, რათა უზრუნველეყოთ არსებული ხელისუფლების შეიარაღებული გზით ძალადობრივი დამხობა.

გამოძიების მასალებით დადგინდა, რომ ქ. გროზნოდან ბაქოს გავლით ყვარლის რაიონში დაბანაკებულ პირებს უკანონოდ ჩამოუტანეს კალაშნიკოვის სისტემის 47 ავტომატური იარაღი, ორი ცალი ხელის ყუმბარმტყორცნი ათი ნაღმით, ოთხი ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, ფ-1 ტიპის 70 ცალი ხელყუმბარა და 3200 ცალი ავტომატური იარაღის ტყვია, რაც ჯგუფის წევრებზე გაანაწილეს.

1992 წლის აგვისტოდან შეიარაღებული ორგანიზებული ჯგუფი ვიქტორ დომუხოვსკის ხელმძღვანელობით შეუდგა განზრახვის განხორციელებას, 1992 წლის 23 აგვისტოს, ჯგუფის წევრებმა მოახდინეს ბანდიტური თავდასხმა ქ. ყვარელში მდებარე რესტორან „ხერგილზე“, საიდანაც გაიტაცეს 10 ათასი მანეთის ღირებულების სახელმწიფო კუთვნილი ქონება, ხოლო 25 აგვისტოს საცხოვრებელ ბინაში დაესხნენ ქ. ყვარელში მცხოვრებ დავით მაძღარაშვილს და გაიტაცეს 30 ათასი მანეთი ფული, 440 ათასი მანეთი ღირებულების თვლებით მოოჭვილი ძვირფასი ლითონის სამკაულები და სხვა ფასეულობები. ამასთანავე, ვიქტორ დომუხოვსკიმ დავით მაძღარაშვილს მოსთხოვა ქ. ბაქოში მისთვის ჩაეტანა 500 ათასი მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა ფიზიკური მოსპობითა და სახლ-კარის გადაწვით.

ყვარლის რაიონის ტყეში დაბანაკებული, ბანდიტური ჯგუფის წევრები 1992 წლის 31 აგვისტოს თავს დაესხნენ და სროლა აუტეხეს შეიარაღებული ძალების და შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობას, რომლებმაც შეძლეს მათი შეტევის მოგერიება და 1-3 სექტემბერს ბანდის მთელი რიგი წევრების დაკავება. ამით თავიდან იქნა აცილებული მათ მიერ დანაშაულებრივი განზრახვით დაგეგმილ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა ჩადენა.

1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მხილებული იქნა ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებული ტერორისტული ჯგუფი, რომელიც შეიარაღებული იყო ავტომატური იარაღითა და საბრძოლო მასალით.

მათ დაევალათ მოეკლათ რესპუბლიკის იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, რის განხორციელებასაც, ტერორისტები, 1992 წლის ივლისში, შეეცადნენ ავტომატური და ასაფეთქებელი საშუალებებით თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ დანაშაულის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს, შემთხვევის ადგილზე პოლიციის მუშაკთა კონცენტრაციის გამო.

1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ტერორისტულმა ჯგუფმა დაგეგმა სახელმწიფო მეთაურის მკვლელობა, სახელმწიფო საბჭოს შენობის აფეთქების გზით. ასევე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პატრიკეევის და მისი მოადგილის გრეკოვის განზრახ მკვლელობა.

გამოძიებით დგინდება ისიც, რომ ამ დანაშაულობათა ჩასადენად, მათ ქ. ზუგდიდში მიიღეს ავტომატური იარაღები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფული.

ამავე ჯგუფის მიერ დედაქალაქში და აღმოსავლეთ საქართველოში გამიზნული მასობრივი არეულობების ეფექტურად წარმართვისათვის, და მათ წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოების აქტიური მოქმედებების აღსაკვეთად, დაგეგმა თბილისი-საჩხერის გზის მონაკვეთის აფეთქება, რისთვისაც დანაღმეს საჩხერის გზის ხევი, ჩააწყვეს 300 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება ამონალი, რაც დამუხტეს დეტონატორებით, მაგრამ,განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს ტერორისტთა ჯგუფის მხილების და იზოლირების გამო. მათი დაპატიმრების შემდეგ, საგამოძიებო ორგანოებმა აღკვეთეს ხსენებული მონაკვეთის აფეთქება, დივერსიისათვის გამიზნული საშუალებები კი ამოიღეს.

— მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ალბათ მეტად ძნელი იქნება დაიჯეროს ის, რაც თქვენ დღეს გაგვაცანით. ცხადია, ასეთი ბრალდების წაყენება არამც თუ პრეზიდენტყოფილისათვის, არამედ ნებისმიერი ქართველისათვის, რომ იტყვიან, მომაკვდინებელია, ამასთან, მეტად პასუხსაგებიც. ეტყობა, ჩვენს პროკურატურას და სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ საამისო მტკიცებანი?

— გამოძიება, მით, უმეტეს. ასეთი საგანგებო გამოძიება, არ გახლავთ იოლი საქმე. აქ ყველაფერი უნდა იყოს ათასჯერ აწონილ-დაწონილი, შეჯერებული და სათანადოდ განმტკიცებული. ზ. გამსახურდიას და მის თანამონაწილეების ბრალი დგინდება თვით ბრალდებულთა აღიარებით, დაზარალებულთა და მრავალრიცხოვან მოწმეთა ჩვენებებით, ფაქტობრივი დოკუმენტური მასალებით, დანაშაულის ჩადენის მასობრივი განადგურების იარაღებით, საბრძოლო მასალებით, ასე რომ, ეს არავითარ ეჭვს აღარ იწვევს.

— ჩვენს საზოგადოებრიობაში დროდადრო გაისმის ხოლმე შეშფოთება იმის გამო, რომ ეს დივერსიული თუ ტერორისტული აქტები კვლავ გრძელდება და იგეგმება ახლაც. თქვენ როგორი ინფორმაცია გაქვთ, რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ეს შეშფოთება ზოგჯერ შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები უკვე მომზადებულნი არიან იმისათვის, რომ დროულად აღკვეთონ ყოველი ასეთი მოქმედება და საკადრისი მიუზღონ დამნაშავეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რა გვიჯდება ომი?

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსს ავთანდილ დავითაძეს ესაუბრება პრესსამსახურის კორესპონდენტი თამარ ბარათაშვილი.

— ბატონო ავთანდილ, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ორგანიზაციები და რიგითი მოქალაქეები სახსრებს არ იშურებენ საქართველოში მშვიდობის განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ეროვნული არმიის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. ალბათ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, რა რაოდენობის თანხა შემოვიდა თავდაცვის სამინისტროს ანგარიშზე და ვინ აკონტროლებს მის ხარჯვას?

— პირველ რიგში, მთელი სამინისტროს სახელით მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომლებმაც უაღრესად დიდი გაჭირვების ჟამს გამოიჩინეს პატრიოტული სულისკვეთება და მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს ეროვნულ არმიას, აფხაზეთში მებრძოლ მეომრებს.

2 დეკემბრის მონაცემებით, თავდაცვის სამინისტროს ფონდში ჩაირიცხა 139 მილიონი მანეთი. კერძო შემოწირულობებმა 35 მილიონ მანეთს მიაღწია. აღნიშნული თანხის ხარჯვას აკონტროლებს საფინანსო-საგეგმო სამმართველოს მთავარი სარევიზიო ინსპექცია. დახარჯული თანხის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი ინახება სამმართველოში და აყვანილია აღრიცხვაზე.

— რაზე დაიხარჯა თავდაცვის ფონდში შემოსული თანხები?

— ძირითადად კვების პროდუქტების, სამხედრო ტანსაცმლის, იარაღისა და ტყვია-წამლის შეძენაზე, სამინისტროს სტრუქტურებში შემავალი სამმართველოებისა და სამსახურების აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვაზე.

დღეისათვის კვების პროდუქტების შესასყიდად დაიხარჯა 59 მილიონი მანეთი. შეძენილია 27 მილიონი მანეთის სამხედრო ტანსაცმელი, გარკვეული რაოდენობის თანხაა გაღებულია იარაღისა და ტყვია-წამლისათვის. მთავრობის დადგენილების შესაბამისად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილებისათვის გავეცით 4 მილიონ 500 ათასი მანეთის ოდენობის ფულადი დახმარება. დაღუპულის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის თითოეულ წევრს გადაეცა 51 ათასი მანეთი, მძიმედ დაჭრილებს 25000 მანეთი, ნაკლებად მძიმედ დაჭრილებს — 15000, მსუბუქად დაჭრილებს — 10 000 მანეთი. აქვე აღვნიშნავთ, რომ თავდაცვის სამინისტრო ხელფასს უხდის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს მიერ გაწვეულ რეზერვისტებს, რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებს, მათი ხელფასი მივლინების დღიდან ორმაგდება.

— მოხალისეებს თუ ეძლევათ რაიმე თანხა ან კომპენსაცია?

— ჭერჭერობით მთავრობის მიერ არ არის განსაზღვრული კანონი მოხალისეთა ანაზღაურებისა და კომპენსაციის შესახებ. მოხალისეს არ ეძლევა არავითარი თანხა, არც კომპენსაცია დაღუპვისა და დაჭრის შემთხვევაში. ჩვენს მიერ მთავრობაში წარდგენილია დადგენილების პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის საბრძოლო მოქმედების რეგიონებში სამხედრო მოსამსახურეთა, მოხალისეთა და მათი ოჯახების წევრთათვის შეღავათებისა და დახმარების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს როგორც სამხედრო მოსამსახურეების, ასევე მოხალისეთა სოციალურ დაცვას. იმედია, საქართველოს მთავრობა დროულად მიიღებს აღნიშნულ დადგენილებას.

— ბატონო ავთანდილ, რა გვიჯდება ერთი ჯარისკაცი?

— ერთი ჯარისკაცის კვება დღეში დაახლოებით 200-230 მანეთი ჯდება, ამას ემატება ხელფასი. სამივლინებო ანაზღაურება, ჩაცმა, სულ მთლიანად, დაახლოებით 20.000 მანეთი თვეში.

— აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე შეიქმნა რეგიონული თავდაცვის ფონდები. ამ ფონდებში შემოსული თანხები „პარტიზანულად“ იხარჯებოდა თუ თავდაცვის სამინისტროს ფონდს ჰქონდა მათთან ფინანსური ოპერაციები?

— საქართველოს ყველა კუთხის შვილებმა გაიღეს თავიანთი წვლილი ეროვნული არმიის ფონდის შესავსებად. ამ თანხების აკუმულაცია კი მოხდა თავდაცვის სამინისტროს ფონდში. გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში არსებობდა ეროვნული თავდაცვის ფონდი, სამინისტროს მიერ იქ საფინანსო ოპერაციები არ ტარდებოდა, ჩვენს განკარგულებაში იყო მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს ანგარიშზე ჩამორიცხული თანხები.

— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს თავდაცვის ფონდი. ალბათ, თავდაცვის სამინისტროს ფონდი შეწყვეტს არსებობას.

— დიახ, საქართველოს თავდაცვის ფონდის შექმნისთანავე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წერილით დაიხურა თავდაცვის სამინისტროს დახმარების ფონდი და ნაშთი გადავიდა ეროვნული თავდაცვის ფონდის ანგარიშზე. ეს უაღრესად დიდი მოვლენაა ამ უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირის დროს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან სისტემატურად ვიგებთ, როგორი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ხალხი ფონდის დაარსებას. ყველა იარაღს ვერ აისხამს, მაგრამ რაღაც წვლილი უნდა გაიღოს სამშობლოს დასაცავად, მოიხადოს ვალი იმ დაღუპული ბიჭების წინაშე. ეს გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სამხედრო აღმშენებლობას, არმიაში დისციპლინის განმტკიცებას, მებრძოლთა, დაჭრილთა სოციალურ გარანტიებს, დაღუპულთა ოჯახების კომპენსაციას.

— ჩვენ საუბრის ძირითად თემას გადავუხვევთ, მაგრამ მინდა მოგმართოთ ერთი კითხვით, რომელიც აინტერესებს საზოგადოებრიობას. არმია განიცდის კადრების ნაკლებობას, ე. წ. თანამეგობრობის ჯარში კი ასობით ქართველი ოფიცერი მსახურობს. ამის ძირითადი მიზეზია დაბალი ხელფასი. როგორია დღეს სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასი ეროვნულ არმიაში?

— თანამეგობრობის ჯარსა და ჩვენს არმიას შორის ხელფასის სხვაობა საკმაოდ დიდია. სამხედრო მოსამსახურეს ანაზღაურება ეძლევა შემდეგი ოდენობით: თანამდებობრივი განაკვეთი, დანამატი სამხედრო წოდებისა და ოფიცრის თანამდებობაზე ნამსახურობისათვის, 66 მანეთი დღეღამეში ყოველდღიური სასურსათო ულუფის ნაცვლად. მაგალითისთვის ავიღოთ უმცროს ოფიცერთა შემადგენლობიდან ასეულის მეთაურის ხელფასი. თუ მისი სამხედრო წოდება კაპიტანია, ხელფასი დაახლოებით 12-13 ათას მანეთს შეადგენს. თანამეგობრობის ჯარში ამავე თანამდებობისა და წოდების სამხედრო მოსამსახურეს კი დაახლოებით 25 ათას მანეთს უხდიან. გარდა ხელფასისა, პრობლემად რჩება სამხედრო მოსამსახურეთა ბინებით უზრუნველყოფისა და პენსიის საკითხი. მათ სახელმწიფო დონეზე სჭირდებათ გადაჭრა. სამხედრო მოსამსახურის პენსია მისი თვიური ხელფასის 75 პროცენტია, ეს, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება თანამედროვე ვითარებას.

რადგან პენსიებზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა მკითხველებს ვაუწყო, რომ თავდაცვის სამინისტროს საფინანსო-საგეგმო სამმართველოს უკვე დაექვემდებარა საპენსიო განყოფილება. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქიდან 55.000 საპენსიო საქმე უნდა მივიღოთ. ამჟამად მიმდინარეობს საბუთების მიღება-ჩაბარება. უკვე ჩავიბარეთ 10.000-მდე საქმე. ვვარაუდობთ, ეს პროცესი 1993 წლის იანვრის ბოლოსათვის დავასრულოთ. პარალელურად მიმდინარეობს პენსიების გადაანგარიშება. მოგეხსენებათ, ეს საქმე მეტად შრომატევადია. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი აჭიანურებს ჩვენთვის შენობის გადმოცემას, რაც ცოტათი მაინც გაგვიუმჯობესებდა პირობებს.

— ბატონო ავთანდილ, ისევ ჩვენს ძირითად თემას დავუბრუნდეთ, რა გვიჯდება ომი?

— მე ეკონომისტი ვარ და, ბუნებრივია, ყველაფერს ამ თვალთახედვით ვაფასებ, მაგრამ ახლა მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ომი საუკეთესო ახალგაზრდობის სიცოცხლედ გვიჯდება.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

სამხატვრო აკადემიას ახალი რექტორი ჰყავს

თბილისის სამხატვრო აკადემიის არსებობის ისტორიაში პირველად, 18 დეკემბერს აქ დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარდა აკადემიის რექტორის არჩევნები.

10 დღით ადრე სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტებზე შემავალმა კათედრებმა თავიანთ სხდომებზე, სტუდენტთა წარმომადგენლობასთან ერთად, განიხილეს რექტორის არჩევნების საკითხი, ოთხი კანდიდატი დატოვეს: მხატვარ-პროფესორები — სოსო ქოიავა, გივი მიზანდარი, სოსო ბახტაძე და მერაბ მერაბიშვილი.

კრებაზე მადლობის სიტყვა წარმოთქვა აკადემიის ყოფილმა რექტორმა, პროფესორმა თენგიზ ფირაძემ.

ფარული კენჭისყრის შედეგად, სამხატვრო აკადემიის რექტორად აირჩიეს აკადემიის აღზრდილი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი სოსო ქოიავა.

სიმონ ნაციაშვილი.

●

გალაკტიონი და სხვანი

ქუთაისში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის ზეიმი, რომლისთვისაც განსაკუთრებით მოემზადნენ „პოეტების მეფის“ სიჭაბუკის ქალაქში. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მკითხველმა მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ერთდროული გაზეთი „გალაკტიონი“.

საიუბილეო საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი თეიმურაზ ლანჩავა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე რეზო ჭეიშვილი, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ფრიდონ ხალვაში; პოეტები: ლილი ნუცუბიძე, ცირა შალაშვილი, მიხეილ ქვლივიძე, ზურაბ კუხიანიძე; მწერლები: დავით კვიცარიძე, მიხეილ ალავიძე, ოტია იოსელიანი და სხვები.

დავით წერეთელი.

●

მშრომელთა სოციალისტური პარტიის პლენუმი

გაიმართა საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოში გამართული არჩევნების შედეგები და პარტიის უახლოესი ამოცანები (მომხსენებელი კ. გარდაფხაძე).

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს პარლამენტის წევრის შ. ბერიანიძის ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში ამ პარტიის დეპუტატთა ჯგუფის საქმიანობის შესახებ.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის მორიგი ყრილობა მოიწვიოს მომავალი წლის მარტში.

გიორგი ციციშვილი—70

ნაყოფიერი გზა



აკადემიკოს გიორგი ციციშვილს 70 წელი შეუსრულდა. ამ გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, მწერალმა და ფართოდ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ მძიმე, მაგრამ დიდად ნაყოფიერი ცხოვრებისეული გზა განვლო.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ოცი წლის სტუდენტი, არმიაში გაიწვიეს და ბაქოს სამხედრო საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჯერ მოსკოვის დაცვაში მონაწილეობდა, მერე ლენინგრადის დაცვასა და ბლოკადის გარღვევაში, შემდეგ კი ვოლხოვის, კარელიის, მესამე ბელორუსიის ფრონტების უმძაფრეს ბრძოლებში მოუხდა მონაწილეობა. იყო საცეცხლე ოცეულის მეთაური, ბატარეის მეთაური, ჯავშნოსანი მატარებლის უფროსის მოადგილე, სატანკო შენაერთის არტილერიული ნაწილის მეთაური, საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსი, მთავარსარდლის ბანაკის ცალკეული საარტილერიო დივიზიონის მეთაური; განვლო გზა ლეიტენანტიდან პოდპოლკოვნიკამდე.

ომის შემდგომ წლებში მუშაობდა ჯერ ფრონტის, შემდეგ სამხედრო ოლქის შტაბისა და ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოფიცრად. მისი მხედრული დამსახურება აღნიშნულია ხუთი ორდენითა და ორ ათეულზე მეტი საბრძოლო მედლით, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნების ჯილდოებით.

1948 წელს, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, განაგრძო სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ უკანასკნელის დამთავრების შემდეგ 1950 წელს მიიღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ — სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება.

1953 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. იყო ამ დაწესებულების მეცნიერ თანამშრომელი, სწავლული მდივანი, განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე და ინსტიტუტის დირექტორი, 1979 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს აკადემიკოსად და აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

გიორგი ციციშვილი მრავალმხრივი მეცნიერი მკვლევარია, იგი არის ავტორი 26 წიგნისა, 120 მეცნიერული ნაშრომისა და ასამდე ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილისა. მისი წიგნები, მონოგრაფიები, ცალკეული ნაშრომები მოიცავს ლიტერატურის თეორიის პრობლემებს, ქართული მწერლობის ახალი და უახლესი პერიოდების საკვანძო საკითხებს, ჟანრულ სპეციფიკას, ლიტერატურული პროცესის ანალიზს, სალიტერატურო კრიტიკის აქტუალურ პრობლემატიკას, ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორიას და ისტორიას, კულტუროლოგიის საკითხებს, თეატრისა და თეატრმცოდნეობის თეორიულ საკითხებს, ეროვნული თეატრალური ხელოვნების ისტორიას. მისი ნაშრომები თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის ათამდე უცხოურ ენაზე.

1958 წელს გიორგი ციციშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება. ეს იყო იმ დროისათვის ახალი ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულების პირველი ერთეული მთელ საბჭოთა კავშირში. მისი პრობლემატიკითა და მუშაობით დაინტერესდა საკავშირო აკადემია და მალე მისი გამოცდილების მაგალითზე ჩამოყალიბდა ანალოგიური განყოფილებები ჯერ საკავშირო აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ ყველა ყოფილ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამით ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევას გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა, სისტემატური შესწავლის ობიექტი გახდა და კვლევის სახელმწიფოებრივი პროგრამის დარგად იქნა აღიარებული, ამ ახალი მიმართულების დადგენება-ფორმირებაში ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ურთიერთობათა განყოფილებამ ერთობ საპატიო მისია შეასრულა. მართალია, ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა ჩვენშიც და სხვაგანაც მანამდეც წარმოებდა და ამ სფეროში არა ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომიც შეიქმნა, მაგრამ ძველად ეს იყო უპირატესად პირადი ინიციატივის თუ დაინტერესების შედეგი, ხოლო სათანადო სტრუქტურათა ფორმირებისა და მუშაობის თანამიმდევრული, ორგანიზაციული დაგეგმარების შედეგად, ლიტერატურულ ურთიერთობათა პროცესის შესწავლა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გადაიქცა, რაშიც გიორგი ციციშვილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის, იგი როგორც ამ მიმართულების აღიარებული მკვლევარი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს. მისი ნაშრომები — ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმებსა, სახეებსა და ხასიათზე ურთიერთობათა როლზე ეროვნულ ლიტერატურებში ახალი ჟანრული ფორმების აღმოცენების საქმეში; კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესის მექანიზმის და ურთიერთობათა თეორიის სხვა აქტუალური ასპექტების შესახებ, — ფართო აღიარებით სარგებლობენ.

ამ ახალ სფეროში თანამიმდევრული კვლევის შედეგად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ამ დარგის მოთავე სამეცნიერო დაწესებულება გახდა და ყოფილი საკავშირო საატესტაციო კომისიის სპეციალური დადგენილებით ჩრდილო კავკასიის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების და დაღესტნის სპეციალისტებს დისერტაციების დაცვა (ამ სპეციალობაში) მოსკოვს გარდა მხოლოდ თბილისში შეეძლოთ. ამით საქართველომ დიდი დახმარება გაუწია კავკასიის ხალხებს ლიტერატურათმცოდნეობითი კადრების აღზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ფრიად საყურადღებოა გიორგი ციციშვილის ნაშრომები ლიტერატურის თეორიის დარგიდან, კერძოდ, გამოკვლევები ჟანრული ფორმების სპეციფიკაზე, ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების ახლებურ გააზრებაზე, შემოქმედებით მეთოდებსა და მხატვრულობის პრობლემებზე, ლიტერატურული გვარებისა და სახეობათა თავისებურებაზე, მხატვრულობის შინაგან მექანიზმზე. იგი არის თანაავტორი ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოსი.

ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გამოქვეყნება მან 50-იანი წლების დამლევიდან დაიწყო და მრავალი წერილი, გამოკვლევა, მონოგრაფია მიუძღვნა ქართველ მწერლებს, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის შემოქმედთ. მისი ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები გამოირჩევა ფართო თვალსაწიერით, მსჯელობის დამაჯერებლობით, მაღალი ერუდიციით, შინაარსობრივი სიღრმით, ნათელი, დახვეწილი სტილით.

1954 წელს გიორგი ციციშვილი გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ხოლო 1956 წელს, ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად, დაინიშნა რუსულენოვანი ჟურნალის „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორად და არჩეულ იქნა მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად. მან დიდი მუშაობა გასწია ამ ჟურნალის ქართული ლიტერატურის სამსახურში ჩასაყენებლად, და, არსებითად, რუსული სექციის ორგანოდან ქართველ მწერალთა ორგანოდ გადაქცევისათვის.

ფრიად მნიშვნელოვანია გიორგი ციციშვილის როგორც მწერლის, ბელეტრისტის შემოქმედებითი მუშაობა. ამ ფართო ინტერესებისა და შესაძლებლობის პროზაიკოსმა მკითხველთა წრეებში ცხოველი ინტერესი აღძრა თავისი ნოველებისა და მოთხრობების წიგნით „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“ და რომანით — „სძლიე სიხარბესა შენსა“, რომელთაც ავტორს მკითხველი საზოგადოებრიობის აღიარება და სახელი მოუპოვეს. საყურადღებოა, რომ ორივე წიგნი რამდენჯერმე გამოიცა, როგორც ქართულად, ისე სხვა ხალხთა ენებზე, ხოლო რუსულმა გამოცემამ ნახევარმილიონიან ტირაჟს გადააჭარბა. ამ წიგნების შესახებ მრავალი საქებარი რეცენზია დაიბეჭდა სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ენებზე. განსაკუთრებით აღინიშნა თხზულებათა მხატვრულობა და კოლორიტულობა, ქართული ეროვნული ხასიათის გამოკვეთის უნარი, თანადროულობის შთამბეჭდავი ჩვენება, ტიპაჟის მრავალფეროვნება.

ორი ათეული წელი ეწეოდა გიორგი ციციშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სკოლაში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 26 საკანდიდატო და 14 სადოქტორო დისერტაცია არა მარტო ქართველთა მიერ, არამედ სხვა ერთა მრავალი მაძიებლების მიერაც. იგი კითხულობდა სპეცკურსებს ქართული ლიტერატურის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიის, რუმინეთის, ბულგარეთის უნივერსიტეტებში. გამოდიოდა მოხსენებებით საზღვარგარეთულ კონგრესებსა და კონფერენციებზე, მეთაურობდა საკავშირო მწერალთა დელეგაციებს საერთაშორისო ფორუმებზე, როგორც საკავშირო მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის მდივანი.

1977 წლიდან ცხრა წლის განმავლობაში იგი მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად, ხოლო 1986 წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ; 1988 წლიდან იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

გიორგი ციციშვილის პიროვნება წარმოუდგენელია მისი მოუღლელი საზოგადოებრივი საქმიანობის გარეშე. წლების მანძილზე იგი არის ან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოსა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი; მთელი რიგი ჟურნალებისა და გაზეთების რედკოლეგიის წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანო „მაცნეს“ რედაქტორი...

გიორგი ციციშვილის თაოსნობით 80-იან წლებში დამყარდა კავშირები საზღვარგარეთის რიგი ქვეყნების უნივერსიტეტებთან (გერმანიის, რუმინეთის, საფრანგეთის, იაპონიის). მაგალითად, იაპონიის ტენრის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შეიქმნა ქართული კულტურის ფონდი და დაარსდა სტუდენტთა და ასპირანტთა სპეცსემინარი ქართულ ლიტერატურასა და კულტურაში. შეიქმნა ქართული კულტურის ცენტრი. ამ უნივერსიტეტშივე პროფესორ ოტანის მიერ ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“.

მთელი თავისი სამეცნიერო, სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის განმავლობაში გიორგი ციციშვილი გამოირჩევა იშვიათი შრომისუნარიანობით, დიდი პასუხისმგებლობით, ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით, მაღალი პიროვნული თვისებებით და მკვეთრად გამოხატული ეროვნული სულისკვეთებით, რომელიც მკაფიოდ მჟღავნდებოდა მის მხატვრულ შემოქმედებაშიც და ქცევასა თუ აზროვნებაში.

წლეულს ომის ვეტერანებმა პოლკოვნიკ გიორგი შალვას ძე ციციშვილს დიდი ნდობა გამოუცხადეს — საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს.

სამოცდაათი წლისთავს გიორგი ციციშვილი ენერგიით აღსავსე, ახალგაზრდული სიმხნევითა და შემართებით ეგებება, იგი გატაცებით მუშაობს თავისი ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომების ხუთტომეულზე და მხატვრულ თხზულებათა კრებულზე.

ვუსურვოთ მას მრავალი წლის სიცოცხლე და წარმატებები კეთილშობილურსა და მამულიშვილურ საქმიანობაში.

აკადემიკოსი,
ალექსანდრე ბარამიძე,
აკადემიკოსი,
გრიგოლ აბაშიძე,
აკადემიკოსი,
შოთა ძიძიგური,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გურამ ბარნოვი.

მიხარია და მეამაყება...

გიორგი ციციშვილი თავის პიროვნებაში ბედნიერად ითავსებს ქართველი კაცის ჭეშმარიტ ბუნებას, არისტოკრატიულ ხიბლს, მრავალმხრივ ნიჭიერებას, კეთილმოსურნეობას და შეუვალ პრინციპულობას, როცა საქმე შეუვალ ღირებულებებს ეხება.

მიხარია და მეამაყება, ჩემო ბატონო გიორგი, რომ მიმითვლით თქვენს ერთ-ერთ მახლობელ ადამიანად, მანებივრებთ შეუნელებელი ყურადღებით და თანადგომით. მიხარია, რომ ჩემნაირადვე გიყვართ ჩემი და თქვენი მშობლიური აჭარა. გასაოცარი მაგალითი ეროვნული მდგრადობისა და იშვიათი ერთგულებისა საერთო ქართული საქმისადმი, საერთო ქართული თვითშეგნებისადმი.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო და ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას, საზოგადოებრივ საქმიანობას, ყოველგვარ სიკეთეს თქვენს ლამაზ, სამართლიანად ბედნიერ ოჯახთან ერთად.

ძმური სიყვარულით

ილია რურუა.

პროფკავშირების რიგგარეშე ყრილობა

18 დეკემბერს, მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლეში ჩატარდა საქართველოს პროფესიული კავშირების რიგგარეშე ყრილობა.

მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების საქმიანობა და სამომავლო ამოცანები“ გააკეთა პროფესიული კავშირების კონფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ტუღუშმა.

ყრილობაზე მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი პროფესიული კავშირების შესახებ, აგრეთვე რეზოლუცია „ქვეყანაში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პროფესიული კავშირების ამოცანების შესახებ“.

ყრილობამ ფარული კენჭისყრით აირჩია საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე და მისი მოადგილეები. გაერთიანების თავმჯდომარედ არჩეულია ირაკლი ტუღუში, მოადგილეებად სიკო გეგიაძე და მამუკა კაციტაძე. ყრილობის გადაწყვეტილებით ამიერიდან პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეებად ჩაითვლებიან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პროფესიული კავშირების გაერთიანებათა თავმჯდომარეები.

ამით ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

მარატ ღვალაძე.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში საბოლოოდ უნდა დამკვიდრდეს თანამედროვე დემოკრატიული პრინციპები

საქართველოს რუსთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება მთლიანად უჭერს მხარს რესპუბლიკის პარლამენტის განცხადებას, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობას ეხება. ამ საკითხს ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის დესტრუქციული ძალების ჩარევის უპრეცედენტო ხასიათმა შეიძლება შეარყიოს რესპუბლიკაში საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული, ზნეობრივი, ცივილიზებული საზოგადოების შესაფერისი ეროვნებათაშორისი ურთიერთობა, გაურთულოს მდგომარეობა რუს მოქალაქეებს, რომლებმაც სამშობლო პოვეს საქართველოს მიწა-წყალზე.

ჩვენ რუსები ვართ და, ბუნებრივია, გვიყვარს მშობლიური ენა, ვამაყობთ რუსული კულტურით. ჩვენთვის სულ ერთი როდია, რა გზას ადგას თუ დაადგება რუსეთი, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ სწორედ საქართველოა ჩვენი საერთო სახლი, ვინაიდან ათასობით რუსულ ოჯახს ფესვი აქვს გადგმული ამ ქვეყნის ისტორიაში, რომელიც მუდამ ფართოდ უღებდა კარს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს და ოდითგან მოსდგამდა ტოლერანტულობა. ამიტომ ყოვლად გაუმართლებელია რუსეთის რეაქციული ძალების დღევანდელი პოლიტიკა, რომელიც ნიღბად იშველიებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უსაფუძვლო, უნიადაგო განცხადებებს, თითქოს საქართველოში ილახება რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესები, და მას „დაცვა“ სჭირდება. ეს სხვა არა არის რა, თუ არა მორიგი ცდა გაითამაშონ რუსული კოზირი საქართველოსთვის ტრაგიკულ დღეებში, როდესაც მის თავისუფლებას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს ხელყოფენ შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტები და დაქირავებული ბანდიტები, და მათ ზურგს უმაგრებენ რუსეთის რეაქციული ძალები, რომლებმაც შეძლეს ჩაეშალათ საქართველო-რუსეთის ა. წ. 3 სექტემბრის ცნობილი ხელშეკრულების შესრულება.

ყოველივე, რაც ხდება აფხაზეთში, საქართველოს ოდინდელ ტერიტორიაზე, აწუხებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა, ვინაიდან საერთო სახლის ბედი — ეს ჩვენი ბედია, სწორედ ამიტომ, დღეს საქართველოს მთლიანობას და დამოუკიდებლობას იარაღით ხელში, სიცოცხლის დაუზოგავად იცავენ არა მარტო ქართველები, არამედ აგრეთვე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, მათ შორის, რუსი ახალგაზრდები — მშვიდობიანი მცხოვრებნი, რომლებსაც საქართველო თავიანთ სამშობლოდ მიაჩნიათ და რომლებიც საერთო წმინდა იდეალების გულისთვის სწირავენ თავს.

დროა, შეიგრძნოს ყველამ, ვინც ამას ჯერ ვერ მიმხვდარა, რომ ჩვენ არ გვჭირდება არავის გამოსარჩლება, ვინაიდან საუკუნეთა მანძილზე ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ მეგობრულად, მშვიდობიანად და შეხმატკბილებულად ქართველებთან და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. იმათ, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობისათვის, კი არ უნდა „დაიცვან“ იგი ვინმესგან, არამედ ყოველნაირად შეუწყონ ხელი ვითარების მოწესრიგებას ა. წ. 3 სექტემბრის ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე. სწორედ ეს იქნება ყველაზე ქმედითი დახმარება და დაცვა, ჩვენ ხომ მხოლოდ ერთს ვთხოვთ: ნუ უშლიან ხელს მშვიდობისა და თანხმობის დამყარებას ჩვენს უძველეს მიწა-წყალზე.

რუსთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება მიესალმება რესპუბლიკის პარლამენტის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ აირჩიეს რუსეთთან ორმხრივ ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის კურსი“, და გამოთქვამს რწმენას, რომ რუსეთში არიან საღად მოაზროვნე ძალები, რომლებიც, ვიმედოვნებთ, სწორად, რეალისტურად შეაფასებენ შექმნილ სიტუაციას, ერთხელ და სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს ჩარევას სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში და ყველაფერს იღონებენ, რათა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში საბოლოოდ დამკვიდრდეს თანამედროვე, დემოკრატიული პრინციპები, რომლებიც ორმხრივ პატივისცემას და თანასწორობას, ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობასა და კეთილმეზობლობას ემყარება.

საქართველოს რუსთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მთავრობის გადადგომას მოითხოვენ

ტოკიო. იაპონიის სოციალისტების ლიდერმა მაკოტო ტანაბემ განაცხადა, რომ აპირებს მიაღწიოს პრემიერ-მინისტრის კიიტი მიაძავას კაბინეტის გადადგომას. ეს თქვა მან თავის საპროგრამო სიტყვაში ქვეყნის უდიდესი ოპოზიციური პარტიის — იაპონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის გახსნაზე. „ჩვენ უნდა მივაღწიოთ პარლამენტის ქვედა პალატის, რაც შეიძლება მალე დათხოვნას, პარლამენტის საყოველთაო არჩევნების დანიშვნას და კიიტი მიაძავას მთავრობის გადაყენებას“. სოციალისტების პარტიამ უნდა მოითხოვოს კანონის მიღება, რომელიც აუკრძალავს პოლიტიკურ პარტიებს მიიღონ შემოწირულება კომპანიებსა და ორგანიზაციებისაგან, რომლებიც დღეს იაპონიის ყველა პარტიისათვის ფინანსურ ბაზას წარმოადგენენ, მათ შორის, იაპონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის. მოქმედი კანონმდებლობა გარკვეული შეზღუდვებით ნებას რთავს პარტიებს მიიღონ პოლიტიკური შეწირულობანი, როგორც კერძო პირების, ასევე კომპანიებისაგან, რაც, ოპოზიციის აზრით, ქმნის კორუფციის ნიადაგს ქვეყნის პოლიტიკურ სამყაროში. ამასთანავე პარტიის ლიდერს ნათლად არ ჩამოუყალიბებია, თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების ფინანსური უზრუნველყოფის ახალი სისტემა.

პრეზიდენტის განზრახვა

ამერიკული ჟურნალი „ნიუსუიკი“ თავის ბოლო ნომერში წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს გადაწყვეტილი აქვს „გადადგას თავისი უკანასკნელი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი“ ჯერ კიდევ თეთრ სახლში ყოფნის პერიოდში“ — შეაჩეროს ხოცვა-ჟლეტა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. რომ პენტაგონს უკვე აქვს სათანადო გეგმა, სახელწოდებით — „შესაძლო ოპერაციების გეგმა ყოფილ იუგოსლავიაში“. ამ გეგმას რამდენიმე თვეა ამზადებდა ოფიცერთა და ექსპერტების სპეციალური ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ კოლინ პაუელისა და ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ ჯონ შალიკაშვილის პირადი კონტროლით.

თითო აბზაცით

⊙ **კარგი** საახალწლო საჩუქარი უძღვნეს ვორონეჟის მცხოვრებლებს, ქალაქის ადმინისტრაციამ, ბაზებმა და მაღაზიებმა გამოძებნეს შესაძლებლობა 30-40 პროცენტით შეემცირებინათ ფასები ხილ-ბოსტნეულზე, საახალწლო ვაჭრობა 31 დეკემბრამდე გაგრძელდება.

⊙ **უკრაინაში** საბრძოლო მორიგეობიდან მოხსნეს სტრატეგიული ბირთვული რაკეტები. ამის შესახებ განცხადება გააკეთა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.

⊙ **ბრიუსელში** ნატოს სესიის დამთავრების შემდეგ გამოაცხადეს, რომ ნატოს გენერალური მდივანი მანფრედ ვერნერი კიდევ სამი წლით (1996 წლის 30 ივნისამდე) დარჩება ამ თანამდებობაზე.

NEW!
LaserJet 4
HEWLETT PACKARD
Authorized dealer
ახალი ლაზერული პრინტერი
ბეჭდვის სისწრაფე - 8 გვერდი წუთში
ოპერატიული მეხსიერება - 2 მეგაბაიტი
ბეჭდვის სიზუსტე - 600 წერტილი დიუმზე
აგრეთვე ჩვენთან:
Hewlett Packard-ის პრინტერები და სკანერები
First International Computer Inc. ფირმის 486 და 386 კომპიუტერები
Truevision, Autodesk, Diaquest ფირმების კომპიუტერული სადგურები პროფესიონალური და საკაბელო ტელევიზიისათვის
Rank Xerox ფირმის ასლგადამღები აპარატები
PC 486 386 LEO
ჩვენ გთავაზობთ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს სამაგიდო პოლიგრაფიის, კომპიუტერული დიზაინის და რეკლამის, საქმის წარმოების ავტომატიზაციის კონკრეტულ ამოცანებზე
STEEPLER®
საქართველო • თბილისი • ინგოროყვა • 8
ტელეფონი: 99-86-96

პოლიცია მოქმედებს

შემოწმება გზებზე

სულ უფრო მწვავდება კრიმინოგენული ვითარება რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები ცოტათი თუ განსხვავდება თავისი სიმწვავით საბრძოლო პოზიციებიდან მოსული ინფორმაციებისაგან: ძარცვა, მკვლელობა, ავტოკატასტროფების მსხვერპლი, იარაღის უკანონო ტარება, ნარკოტიკები... ქართული პოლიცია, რომელიც ოპერატიულად ცვლის თავის სტრუქტურას, ქმნის სპეციალურ ქვეგანაყოფებს დამნაშავეებთან მასშტაბური ბრძოლისათვის, უპირისპირებს მათ ვაჟკაცობასა და მამაცობას, თანამედროვე ტექნიკასა და შეიარაღებას, ამ მძიმე ჟამს სამშობლოსადმი ერთგულებას.

• • •

სურათებზე: გულდასმით ამოწმებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს რესპუბლიკის დედაქალაქში მომავალ ტრასებზე; ამას დღისით და ღამით სპეციალური რაზმები ახორციელებენ.

მანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ბერლეის“ ჯიში ვერ შეედრება

დავით ბიწაძე

მარნეულისა და ლაგოდეხის რაიონების ასჰექტარიან თამბაქოს პლანტაციებში, რომელიც ცეკავშირის აგროსამრეწველო-სავაჭრო ფირმის „თამარისის“ გამგებლობაშია, დასრულდა თამბაქოს მოსავლის აღება. აქ პირველად ჩვენს ქვეყანაში დარგული ჰქონდათ მსოფლიოში განთქმული ჯიში „ბერლეი“, რომელსაც ვერცერთი სხვა ჯიში ვერ შეედრება; ვერც მოსავლიანობითა და ვერც სურნელებით.

— ჩვენში გავრცელებულ „ტრაპეზუნთან“ და „სამსუნთან“ შედარებით, თანაბარ პირობებში „ბერლეი“ ორჯერ მეტ მოსავალს იძლევა, გვითხრა ფირმის გენერალური დირექტორის მოადგილემ ბატონმა დურმიშხან მაღალაშვილმა. — ამ ნედლეულით მთლიანად უმაღლესი ხარისხის სიგარეტი მზადდება. მას სხვა ჯიშებთან შედარებით, ის უპირატესობაც აქვს, რომ მცენარე დიდი იზრდება, აქვს გრძელი და ფართო ფოთლები, ამიტომ, სამჯერ ნაკლები რაოდენობის ჩითილი უნდა დაირგოს, ვიდრე სხვა ჯიშისა. ეს მექანიზაციასაც აიოლებს, ნერგი ნაკლები იხარჯება და ფოთლებიც შედარებით კარგი ასაწეწსია.

წელს „ბერლეის“ თესლიც საკმარისად დამზადდა. იგი გლეხებს საკუთარ მიწებზე დაურიგდებათ, კონტრაქტაციის წესით მოიყვანენ და ფირმას ჩააბარებენ. იტალია-საქართველოს ერთობლივ საწარმოსთან — „მსოფლიო-საქართველოს თამბაქო“ ერთად, ფირმაში მონტაჟდება ნაკადური ხაზი, რომელიც მსოფლიო კლასის სიგარეტებს გამოუშვებს.

სარფის პუნქტი დროებით დაკეტილია

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადება და დაავალა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტს უზრუნველყოს ბათუმის საბაჟოს სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტის დროებითი დაკეტვა 1992 წლის 31 დეკემბრამდე.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, დაევალათ შეწყვიტონ ამ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკაში წამსვლელი მოქალაქეებისათვის და ავტოტრანსპორტისათვის შესაბამისი საბუთების გაფორმება და გაცემა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

გორი, 21 დეკემბერი...

დილიდანვე ასობით ადამიანი მოვიდა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის წინ მდებარე სკვერში. აქ გაიმართა სანქცირებული საქალაქო მიტინგი, რომელიც ი. ბ. [სტალინის] დაბადების 113 წლისთავს მიეძღვნა. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ქალაქის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, შემდეგ მიტინგი გაგრძელდა ქალაქის მთავარ მოედანზე, სტალინის ძეგლთან, სადაც ყვავილების გვირგვინები მიიტანეს. ამ დღესთან დაკავშირებით ერევნიდან ჩამოვიდა მშრომელთა დელეგაცია. ერევნელები ყოველ 21 დეკემბერს სისტემატურად ჩამოდიან გორში და მონაწილეობას იღებენ ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. გუშინდელი დღე დასრულდა რაიონის კულტურის სახლში გამართული დიდი კონცერტით.

გურამ ვაშაკიძე.

სტუდენტთა იურიდიული კლუბის პრეზენტაცია

ეკა გასიტაშვილი.

შაბათს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა სტუდენტთა იურიდიული კლუბის პირველი კონფერენცია-პრეზენტაცია.

იგი იურიდიული პირი და არაპოლიტიკური ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი საწესდებო მიზნებია: სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის აქტიური ხელშეწყობა, კერძოდ, კანონმდებლობის კრიტიკული ანალიზი და საკანონმდებლო პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა, სამართლებრივი მეცნიერების განვითარებით დაინტერესებული ახალგაზრდების დაახლოება, მათი ცოდნის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება.

კლუბი ფაქტობრივად ოთხი თვეა, მოქმედებს და უკვე მოასწრო კონტაქტების დამყარება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან, კიევის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტთან, ნიდერლანდის უტრეხტის უნივერსიტეტთან არსებულ საზღვაო სამართლის ინსტიტუტთან, ინგლისის „ქინგს კოლეჯის“ სამართალმცოდნეობის დეპარტამენტთან, საბერძნეთის ჰელენიკის ცენტრთან. ისინი დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს რესპუბლიკისა და კლუბის მუშაობის მიმართ. სამომავლოდ განზრახულია სამართლის დარგში წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექციების წასაკითხად, უცხოელ სტუდენტებთან სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლა. კლუბის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწესდებო ამოცანაა აგრეთვე საქველმოქმედო საქმიანობა.

კლუბის გამგეობის თავმჯდომარეა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი ნიკა ლომთათიძე.

ნარკომანიასთან ბრძოლა ყველას საქმეა

რესპუბლიკის პროკურატურის სხდომათა დარბაზში გაიმართა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული სხდომა, რომელიც ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემებს მიეძღვნა.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია მეორემ**, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა **თემურ ხაჩიშვილმა**, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოების უფროსებმა **რუბენ ასანიძემ** და **დემურ მიქაძემ**, დედაქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსმა **დავით ზეიკიძემ** და სხვებმა.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ჯაბა იოსელიანმა** აღნიშნა, რომ აუცილებელია განახლდეს სათანადო სამთავრობო კომისია, რომლის მუშაობაშიც აქტიურად ჩაებმებიან მეცნიერები, ამ დარგში მომუშავე სპეციალისტები, ყველამ ერთად დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ნარკომანიას.

ჩოგანი

საუკეთესოთა შორის

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგსიები.

ვაჟთა შორის ფანტასტიკური შედეგით — 2805 ქულით წინ არის მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი. სამაყოა, რომ საუკეთესოთა ათეულში ქართველმა დიდოსტატმაც დაიმკვიდრა ადგილი — **ზურაბ აზმაიფარაშვილს** მერვე შედეგი აქვს — 2655 ქულა.

უჩვეულოდ მოკრძალებული პოზიციები უკავიათ ქართველ ქალებს — მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი შესაბამისად მეოთხე, მეექვსე, მერვე და მეათე საფეხურებზე იმყოფებიან, „მშვენიერთა სქესის“ კოჰორტას სათავეში უდგას ივდით პოლგარი.

საფეხბურთო მოზაიკა

ქართული ფეხბურთი ჯიუტად მიიკვლევს გზას საერთაშორისო სარბიელისაკენ.

ჟენევაში გამართულმა წილისყრამ დაასახელა ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მეტოქეები ევროპის მომავალი ჩემპიონატების შესარჩევ ჯგუფებში. 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრების მოწინააღმდეგენი იქნებიან სლოვენიისა და შვეიცარიის გუნდები.

18-წლიანთა ეროვნულ გუნდთან ერთად ჯგუფში მოხვდნენ **ისრაელელები და უკრაინელები.**

საკვალიფიკაციო შეხვედრები გაისად მოეწყობა.

• • •

იტალიის „მილანის“ ჰოლანდიელი ბომბარდირი მარკო ვან ბასტენი მესამედ გახდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. ასეთია „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციული საახალწლო გამოკითხვის შედეგი.

განვლილ წლებში „ოქროს ბურთი“ სამჯერ მხოლოდ ორ ვარსკვლავს — „მფრინავ ჰოლანდიელ“ იოჰან კრუიფსა და ფრანგ მიშელ პლატინის გადაეცა.

გუცაევი სულ სხვა იყო!

70-80-იანი წლების თბილისის „დინამო“ წარმოუდგენელია ვლადიმერ გუცაევის „სოლოების“ გარეშე.

ვინ იცის, რამდენი მცველი გააწამა დინამოელთა გარემარბმა ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ პენალტების „აკიდების“ ხელოვნებაზე ალბათ სასწავლო ფილმის გადაღებაც შეიძლება. გულშემატკივართათვის დაუვიწყარია ვოვას მიერ შექმნილი, თანაგუნდელთათვის გასატანად „ხონჩით მირთმეული“ ბურთები.

გუშინ ვლადიმერ გუცაევი 40 წლისა გახდა. ვულოცავთ სამშობლოდან შორს, კვიპროსში მწვრთნელად მოღვაწე იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ წარმატებებს ახალ ასპარეზზე.

სურათზე: ვლადიმერ გუცაევი. ვარლამ ბენდიურის ფოტო.

ფელეტონისტს სულაც არ ეხუმრება

ფლისთავი

(სცენარი)

ლერი ჩანტლაძე.

როგორც გაზეთი „იბერია-სპექტრი“ მიმართავს თავის მკითხველებს, მას გადაუწყვეტია განსაკუთრებით აღნიშნოს „დეკემბერ-იანვრის გადატრიალების“ წლისთავი, როგორც „უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა საქართველოს ისტორიაში“. ამასთან ერთად „რედაქცია გაკვირვებულია!“, ვინაიდან ყველა წერილში, რომელიც „იბერია-სპექტრში“ მოდის, გამოთქმულია ნეგატიური დამოკიდებულება ახალი ხელისუფლების და ნოსტალგია ძველი, „მრგვალთა“ ხელისუფლების მიმართ. ვისლა არ მოვუწოდებთო, წუწუნებს რედაქცია, „...მწერალ აკაკი ბაქრაძეს, პროფესორ ნოდარ ლომოურს, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძეს, პროფესორ როინ მეტრეველს, რეჟისორ ელდარ შენგელაიას, პროფესორ ლევან ალექსიძეს, ეკონომისტ რომან გოცირიძეს, ყველა განათლებულ და ხალხში ავტორიტეტიან მოღვაწეს“, მაგრამ ამაოდ... ძვირფასო რედაქციავ, ნუთუ ასე ძნელია დასკვნის გაკეთება: არცერთი „განათლებული და ხალხში ავტორიტეტიანი“, ნამუსის ქუდის მატარებელი მოღვაწე ამ ბულვარული გაზეთის მოწოდებაზე გამოხმაურებას არ იკადრებს...

რაც შემეხება მე, ყოველგვარ თავმოყვარეობას განზე გადავდებ და „იბერია-სპექტრის“ გარშემო დარაზმულ მკითხველ-კორესპონდენტებს შევთავაზებ დეკემბერ-იანვარში განსვენებული ხელისუფლების მოსახსენებელი წლისთავის ჩემეულ სცენარს.

მაშ, ასე...

• • •

სამგლოვიარო სუფრა გაიმართება მომავალი წლის იანვრის 6-ში, ცნობილ „ბუნკერში“. ჩასასვლელთან გაიკვრება მიხაკისფერი ასოებით შესრულებული პლაკატი.

„ქართველი ერი“, „საქართველოს ცის ქვეშ“, „საქართველოს სამრეკლოდან“ დუმილით რეკს „იბერია-ექსპრეს-სპექტრში!“.

სტუმარ-მასპინძელი იკრიბება ბუნკერში და სამგლოვიარო სუფრასთან იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს.

სათამადო ადგილზე ჯდება მეუხრან-ბატონი.

მოადგილეები: ელიზბართელიზბარი, ნოდართნოდარი და ენვერბეი.

ჭირისუფლები: აკაკიკაკოკაკი, ედიშერა, სოსიკო, შენც-გივი და შენც-გიორგი, მამუკ-რენე, დოლორეს ქორელი, მიშიკო-პედაგოგი და ოპოლი ელენე.

შემდეგ სხდებიან ფიზიკ-ოსები: თაზო, აპო, გოგა და ნინუკა. იქვე ფილოსოფ-ოსი თამრიკუკა.

საპატიო სტუმრები: ვალერია — მოსკოვიდან, გოგნიგოგო — ვაშინგტონიდან, ნაღდი ქართველი — პარიზიდან, დათიკო მოაზროვნე — რუსეთიდან, თავადის ქალი მზია — გროზნოდან.

ცალკე მაგიდას უსხედან მგალობელ-ინსტრუმენტალისტები: ვარლალი, ავთუა, მედიკო და მაიკო.

პარმენ-პენსიონერი.

შემთხვევითი სტუმარი.

სუფრის გარშემო გამუდმებით იწრიალებს ირაკლე-მერიქიფე, ჭიქებში ასხამს ბალ(ზ)ამს და თეფშებთან აწყობს ცხვირსახოცებს ნოსტალგიური ცრემლების შესამშრალებლად.

თამადა: — ძვირფასო თანამოაზრენო, მოწვეულო სტუმრებო! უწინარეს ყოვლისა, გილოცავთ ახალი მართალსიტყვიანი გაზეთის, „იბერია სპექტრის“ ფილიალის „საქართველოს სამრეკლოს“ გამოსვლას. მან უნდა დაგვაძლიეროს ყოველგვარი პიროვნული და მიგვიყვანოს ვარდისფერ ალიონამდე. მერიქიფევ, ჩამოასხი! (ირაკლე უსხამს ბალ(ზ)ამს). დადგა ჟამი აპოკალიფსისა, ქართველი აღარ ქართველობს, დაკნინდა იგი, დამდაბლდა და მთლიანად ბნელით გარემოცულს, აღარ შერჩა უნარი კეთილის და ბოროტის გარჩევისა. ის ეკლესიაში მხოლოდ სხვათა დასანახავად შედის.

დოლორეს ქორელის რეპლიკა: — რაზეა ლაპარაკი, როცა ეკლესიის მეთაური კაგებეშნიკია!

პარმენი (პირჯვარს იწერს): რა არისო?! გადავირიე!

შემთხვ. სტუმარი: — პირველად გესმის?

თამადა: — ჩვენი შეკრება მხოლოდ განსვენებულის სულის მოსახსენებლად არ შემდგარა, მისი მკვდრეთით აღდგომისთვის უნდა ვილოცოთ.

ყველანი: — ამინ!

თამადა: — მარტო ლოცვა არ გვიშველის, ხელიც უნდა გავანძრიოთ.

ნოდართნოდარი: — მიმართვა დავწერე ქართველი ხალხისადმი, ლექსად:

„ისე მიბღვერ და მიყურებ,
თითქოს მტერი ვარ მოსისხლი,
ისეც ბევრი გვყავს მოშურნე,
მოშულარი და მოზიზღი“.

თამადა: — აქი ლექსად დაგწერეო?!

მამუკ-რენე: — გაშალოს და პროზა იქნება.

ენვერბეი: — ლექსების ვისლა აქვს ხოში — ჩვენ ვცხოვრობთ შეთროვან დროში!

ელიზბართელიზბარი — მაგარი ხარ!

თამადა: — საქმე, საქმე უწინარეს ყოვლისა, ქართველნო!

ფიზიკ-ოსები: —ჩვენ საჯაროდ განვაცხადეთ, რომ დეკემბერ-იანვრის სისხლიანი გადატრიალება მოწყობილი იყო მსოფლიო პოლიტიკური მაფიის მიერ.

ყველანი: — ძირს ბუში! ძირს კოლი! ძირს შევარდნაძე! გაუმარჯოს ჩვენი ხალხის საყვარელ შვილს ჯოხარიკო დუდაევს!

თამრიკუკა: — და, სოსლანბეკოვს?!

ფიზიკ-ოსები: — წინდაუხედავი საგარეო პოლიტიკის შედეგად მოვიმდურეთ მეზობელი სახელმწიფოები.

პარმენი: — მაგალითად?

შემთხ. სტ.: — ადიღე, ბალყარეთი და ჩეჩნეთი.

ფიზიკ-ოსები: — პოლიტპატიმრებად გამოვაცხადეთ ჩიქოვანის ქუჩაზე განხორციელებული ტერორისტული აქტის ორგანიზატორები: გელბახიანი და წიკლაური.

შენც-გივი: — დოკვაძე?

შენც-გიორგი: — დოკვაძემ ხომ აღიარა?

ედიშერა: — შე კაი კაცო, ზვიადმაც აღიარა სამოცდათვრამეტში...

ვალერია: — კეტაწო, ზვიადზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას. მე თავის დროზე განმაცვიფრა თქვენი პრეზიდენტის ვაჟკაცობამ. ჩემთან ინტერვიუში მან განაცხადა: როცა კოსტავას 12 წელი მიუსაჯეს, გამიხარდა, ვიფიქრე, მეც მაგდენს მომისჯიანმეთქი, მაგრამ კომუნისტებმა მიმუხთლეს: საზღვარგარეთ გასახლება დამიპირეს მამაჩემის ხათრით. სამუდამოდ კომფორტში და უსაქმურ ფუფუნებაში უნდა მეცხოვრა. ყოველივე ამას პირადი ღირსების დათმობა ვარჩიე. სამაგიეროდ, მერე გამოვისყიდი ქართველი ხალხის წინაშე.

შემთხვ. სტ. — მართლაც, აი, სადამდე მოგვიყვანა.

ირაკლი-მერიქიფე: — ჩვენ გამოვაქვეყნეთ საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის ანგარიში. კანონიერი პრეზიდენტი ამხელს მარიონეტ შევარდნაძის უსუსურ და ცრუ პოლიტიკას.

პარმენი:—გადავირიე: გამსახურდია კანონიერია და შევარდნაძე მარიონეტი?

შემთხვ. სტ. — პირველად გესმის?

ირაკლი: — პრეზიდენტს და სპიკერს ფინეთში შეხვედრა მოუწყვეს...

შემთხვ. სტ. — „მრგვალმა“ ქართველებმა!

ირაკლი: — ავსტრიაში...

შემთხვ. სტ.: — „მრგვალმა ემიგრანტებმა“.

ირაკლი: — გერმანიამ და საფრანგეთმა ვიზებზე უარი უთხრეს, სამაგიეროდ, ინგლისი შეუშვებს...

შემთხვ. სტ.: — „აჩრდილი დადის ევროპაში“...

პარმენი: — გადავირიე: მანანა გროზნოში ქვერცხისმდებელ ქათამს ზრდიდა უსახსრობის გამო და ევროპაში სამოგზაურო ვალუტა საიდან იშოვეს?!

შემთხვ. სტ.: — ჯოხარამ აჩუქა!

თამადა: — იარონ! იარონ!

ირაკლი: — ვამხილეთ ფალსიფიცირებული ოქტომბრის არჩევნები. ხალხს ავტომატებით ერეკებოდნენ ურნებთან.

პარმენი: — რაიო?! საღამომდე რიგში ვიდექი. ტყუილი რა საკადრისია!

ირაკლი: — დამყარდა ფაშისტური დიქტატურა. იჭერენ და ხვრეტენ თავისუფალ, სხვაგვარად მოაზროვნეებს.

პარმენ: — კი, მარა, ეს ამდენი ხალხი საიქიოში ვიმყოფებით?!

ირაკლი: — ვამხილეთ შევარდნაძე-იოსელიანი-სიგუა-კიტოვანის მაფია, რომელთა მიზანია, ეროვნული მოძრაობის ჩახშობა და ქართველი ერის გენოციდი. მათი ორგანიზებულია ძარცვა-ყაჩაღობა, აფხაზეთის ომი და ზურგის დივერსიები: ხიდების და რკინიგზების აფეთქება, სპილენძის სადენების ქურდობა, შენობების ნგრევა.

შემთხვ. სტ.: — წვიმიანი დღეების მატება, ჟინვა, წყალდიდობა, მზის დაბნელება...

თავადის ქალი მზია: — წინადადება შემომაქვს, დაწესდეს ზვიადის ორდენი აფხაზეთში დაღუპული ჩვენი მეომრებისათვის...

თამადა: — იარონ! იარონ!

ყველანი: — იარონ! იარონ! იარონ!

აფრიალებენ მიხაკისფერ პლაკატს:

„ქართველი ერი“, „საქართველოს ცის ქვეშ“, „საქართველოს სამრეკლო-დუმილით რეკს „იბერია-ექსპრეს სპექტრში!“

პარმენი: — თქვენც შეგარცხვინეთ და თქვენგან ხსნილი საქართველოც!

[illegible] ამბები

ცეცხლის ენაზე ალაპარაკებული „თვითმასწავლებელი“

შაბათს, შუადღისას დიდ დიღომში თავდადებულის ქუჩაზე, ცხრასართულიან სტუდენტთა საერთო საცხოვრებელკომპლექსს, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზებით, ხანძარი გაუჩნდა. გაძლიერებული ცეცხლის ალი შენობის სარდაფიდან სწრაფად ამოიჭრა, ელექტროკაბელებს აჰყვა და სართულებზე ავარდა, მცხოვრებნი ცეცხლს ეკვეთნენ, მაგრამ — ამაოდ.

— არიქა, ტელეფონით სახანძროს უხმეთ! — მოისაზრა ვიღაცამ (ეტყობოდა სტუმრად იყო, თორემ დიდ დიღომში მცხოვრებთათვის ტელეფონი რომ არ არსებობს, თითქმის ყველა თბილისელმა იცის).

ხანძარი ძლიერდებოდა, უზარმაზარი კორპუსის არსებობა ბეწვზე ეკიდა. უეცრად, ხალხის ჯგუფს ერთი ახალგაზრდა (როგორც შემდეგში გაირკვა, ამავე კორპუსში მცხოვრები, ჟურნალ „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი ვალერი ჯინჭარაძე) გამოეყო. ბედად, მანქანაში მამასისხლად ნაშოვნი ბენზინი აღმოაჩნდა და სახანძროში მალემსრბოლის მისია იკისრა. რამდენიმე კაცმა სარდაფში ცეცხლის კერასთან ჩააღწია. აღმოჩნდა, რომ ხანძარი ელექტროკაბელებს და ამავე სარდაფში განუკითხავად ჩაყრილ 50 ათას ცალამდე წიგნს მოსდებოდა. ეს წიგნები პროფესორ გიორგი წიბახაშვილის „ქართული ენის თვითმასწავლებელი“ აღმოჩნდა. იგი გასულ წელს 50 000 ტირაჟით დაუსტამბავს კოოპერატივ „ბალავარს“, მთლიანი რაოდენობითვე „დაუსაწყობებიათ“ ზემოაღნიშნულ სარდაფში და უპატრონოდ მიუტოვებიათ...

მალე, მეხანძრეებიც მოგრიალდნენ, მათმა შეტევამ ნაყოფი გამოიღო, ცეცხლის ენებმა უკან დაიწიეს. ირგვლივ ყველაფერი კვამლში გაეხვია.

...შაბათ-კვირა და ორშაბათი საერთო საცხოვრებლის ათასამდე ბინადარმა ამ მახრჩობელა კვამლსა და წყვდიადში ათენ-ალამა და ათასგვარი პრობლემით შეწუხებულთ, ახლა ერთი პრობლემაც მიემატათ: ვინ გამოცვლის დამწვარ ელექტროკაბელებს და საახალწლოდ მაინც ვინ გაანათებს კორპუსს?

სოზარ კუპატაძე.

წყლით გაჟღენთვას ვილა ჩივის

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დარაჯმა შაბათს, გვიან ღამით შენობაში ხანძარი შეამჩნია. ცეცხლი მეოთხე სართულიდან გამოდიოდა.

— ამავე შენობაში სხვა ორგანიზაციებიც არის, და, როგორც ჩანს, იქ მომუშავე მუშების სიგარეტის ნამწვი გახდა ხანძრის მიზეზიო, გვითხრა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ნუგზარ შავგულიძემ.

— ლიტერატურის ინსტიტუტმა — გვიამბობს ბატონი ნუგზარი — 1944 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება. ეს დაწესებულება ყველა დირექტორის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო, ამდენად, ინსტიტუტს ჰქონდა და, შემდგომშიც ბევრი უნიკალური წიგნის ეგზემპლარი დაუგროვდა, შეიქმნა მდიდარი ბიბლიოთეკა. ბევრი წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ბეწვზე ვართ გადარჩენილი: ხანძარი სწორედ იმ სართულის თავზე გაჩნდა, სადაც საქართველოს ეს განძია მოთავსებული. მეხანძრეების მამაცობამაც გვიხსნა. მართალია, ნაგებობა მთლიანად გაიჟღინთა წყლით, სარემონტო გახდა, მაგრამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ, კერძოდ ბატონებმა ანდრია აფაქიძემ, გივი სანაძემ, გიორგი ციციშვილმა და ჯუმბერ ლომინაძემ დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს და მაქსიმალური დახმარება აღგვითქვეს პრობლემის მოგვარებაში.

იზა ჯაჯვაძე.

ზოვრეთში ცოდვა დატრიალდა

კვირა ღამით ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთში დაუდგენელი პირები ყაჩაღურად თავს დაესხნენ ერთი მშრომელი კაცის ოჯახს, სიცოცხლეს გამოასალმეს ოჯახის უფროსი იური შერგელაშვილი და მისი ვაჟი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი კახა შერგელაშვილი.

მთელი სოფელი შეაძრწუნა შემზარავმა მკვლელობამ, ადმინისტრაციული ორგანოები შეუდგნენ საქმის ძიებას.

ჰენრი შარიქაძე.

გაუქმდა

საქართველოს რესპუბლიკის
ვაჭრობის სამინისტროს
რესპუბლიკური
გაერთიანება
„საქხილბოსტანვაჭრობა“

დაინტერესებულ
ორგანიზაციებს
ვთხოვთ
ამა წლის 15 იანვრამდე
ყოველგვარი საკითხების
მოსაგვარებლად
მიმართონ
სალიკვიდაციო კომისიას
მისამართზე:
თბილისი,
ჭავჭავაძის პრ. 39-ა

საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საყურადღებოდ!

საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი

1993 წლის აპრილში აწყობს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც კერძო (ფასიან), ასევე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ყველა სტუდენტს.

იმუშავებს სამი სექცია: საზოგადოებათმცოდნეობისა და დარგობრივი ეკონომიკის (ხელმძღვანელი, პროფესორი გრიგოლ თოდუა), მათემატიკა-ინფორმატიკის (ხელმძღვანელი პროფესორი ლაზარ შულაია) და ტექნიკა-ტექნოლოგიის (ხელმძღვანელი პროფესორი თამაზ ბოხუა).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მანქანაზე ნაბეჭდი 1,5 გვერდამდე მოცულობის მოხსენების თეზისი და სათანადო განაცხადი ინსტიტუტის პრორექტორთან, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, პროფესორ ევგენი ბარათაშვილთან 1993 წლის 10 იანვრამდე (თეზისები სტამბური წესით წინასწარ გამოქვეყნდება), ხოლო თეზისის შესაბამისი მოხსენების ტექსტი 15 გვერდამდე მოცულობით — 1 აპრილამდე. ჟიურის მიერ საუკეთესოდ მიჩნეული მოხსენებები სტუდენტთა შრომების კრებულის სახით გამოქვეყნდება. საუკეთესო მოხსენებებისათვის დაწესებულია აგრეთვე 3 პირველი პრემია (1500-1500 მანეთის ოდენობით), 3 მეორე პრემია (1000-1000 მანეთის ოდენობით) და 3 მესამე პრემია (500-500 მანეთის ოდენობით).

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი-380059, დიღმის მასივი, მესამე კვარტალი, ტელეფონი: 95-23-77, 51-98-84

ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრე კუჭუხიძე

2 თვე ჩვენთან სწავლა და...

თქვენ შეგეძლებათ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებთან (ფაქსი, ტელექსი) და კომპიუტერთან ურთიერთობა, საქმიანი საუბარი და წერილების შედგენა ერთ-ერთ უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული),
წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა, მომსვლელთა სწორად მიღება, სატელეფონო საუბრის სწორად წარმართვა და სწორად ჩაცმაც კი.

თქვენ

გახდებით პროფესიონალი მდივან-რეფერენტი

რაც საშუალებას მოგცემთ იმუშაოთ ერთობლივ საწარმოებში, სააქციონერო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, კომერციულ ბანკებში.

სწავლა დაიწყება 11 იანვარს.
მეცადინეობები ჩატარდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, საღამოს საათებში.

დაგვიკავშირდით ტელეფონით: 39-27-62
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 40
თბილისის მენეჯერთა სკოლა
სასწავლო-საკონსულტაციო ფირმა ამბა

ცხონება

ალექსი გორგიძე

საქართველოს საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. 86 წლისა გარდაიცვალა ქართული მათემატიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორი ალექსი იასონის ძე გორგიძე.

პროფესორმა ა. გორგიძემ 65 წლის შემოქმედებითი მუშაობით დიდი წვლილი შეიტანა მათემატიკისა და მექანიკის ცალკეულ დარგებში. მისი სამეცნიერო შრომები, რომელთა რიცხვმა 100-ს გადააჭარბა, ძირითადად მიძღვნილი იყო დრეკადობისა და დიდი სისტემების მართვის თეორიებისადმი.

ა. გორგიძემ პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, შემდგომ კი იგი განუხრელად დაუკავშირა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შეუცვლელად ხელმძღვანელობდა თეორიული მექანიკის კათედრას. მისმა მოქალაქეობრივმა მრწამსმა და პრინციპულობამ, რასაც უნარიანად უთავსებდა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ მომთხოვნელობას, საშუალება მისცა შეექმნა კათედრაზე შეკავშირებული, დიდი შემოქმედებითი პოტენციის კოლექტივი.

პროფესორი ა. გორგიძე მუდამ ტრიალებდა მათემატიკური ცხოვრების შუაგულში. იგი იყო მათემატიკისა და მექანიკის საზოგადოებებისა და სამეცნიერო-მეთოდური საბჭოების წევრი. მისი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა აღნიშნული იყო მთავრობის მრავალი ჯილდოთი, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია აქტიური შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა. თავის ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემდა მრავალრიცხოვან მოწაფეებსა და სტუდენტებს.

ალექსი გორგიძის, შესანიშნავი სწავლულისა და ადამიანის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრა; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი; საქართველოს განათლების სამინისტრო.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი სამძიმარს უცხადებს აკადემიის აკადემიკოს-მდივანს ივანე გორგიძეს მამის — პროფესორ

ალექსი იასონის ძე გორგიძის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 93-92-26; წერილების რედაქცია 99-76-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434